ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 23 (1461) 21-24 ივნისი, 1996 წელი

**ვარდიკო:** შვილო, პავლე, სადამდე?!.

**პავლე:** Да пошел ты к черту, ეს დამანათლე?

## ხმით ნატირალი სამძიმრის დეპეშა

### საქართველოს თავდაცვის მინისტრს ვარდიკო ნადიბაიძეს

ვიზიარებთ შენს მწუხარებასაო,
ვააიჰ!
ჩვენი ამწიოკებლისასაო,
აფხაზეთის წამრთმევისასაო,
შენი ნათლულისასაო,
ვაი!
მირონცხებულისასაო,
ვააიჰ!
პავლე გრაჩოვისასაო,
ვუი!
„უდროდ“ წასვლისასაო,
ვააიჰ!
თანამდებობიდანაო!
ვუი!
წასვლა და აღარ მოსვლაო,
ვოი,
ნათლიასთან ერთათაო,
ვოი!

ტიროდა გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია

## პოლიტიკის ანბანი და ზრდილობის ანაბანა

1. უცხო ქვეყანაში შეთქმულების მოწყობა აკრძალულია
2. უცხო ქვეყნის არჩევნებში კანდიდატთა მხარდაჭერა აკრძალულია
3. მოწინააღმდეგის იმედით არმიის შექმნა შეუძლებელია
4. არმიის გარეშე სახელმწიფოს დაცვა შეუძლებელია
5. მინისტრი პასუხისმგებელია იმის წინაშე, ვინც მას წარადგენს
6. მინისტრზე პასუხისმგებელია ის, ვინც მას წარადგენს
7. მოსახსნელი მინისტრისთვის „მერსედესის“ ჩუქება უპკუობაა
8. სხვისი ქონებიდან „მერსედესის“ გაჩუქება უპატიოსნებაა
9. მაღალ ტახტზე ნაცარქექიას ჯდომა უზრდელობაა

## თეენგიზ კიტოვანი: სომხებმა დაანგრიეს გამსახურდიას თბილისის დატოვება

მე-2 გვ.

## ბორჯომის ტყეებში ჩამარხული გვამების ისტორია

მე-4 გვ.

## »ურჩხულის» ნადირობა არასრულწლოვან გოგონებზე

მე-5 გვ.

## ᲕᲘᲜ ᲘᲧᲝ ᲕᲘᲜ?

# 29 საჭირბოროტო შეკითხვა და თენგიზ კიტოვანის პასუხები

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ № 19, 20,21,22

# თენგიზ კიტოვანი: სომხებმა დაარჩქარებინეს გამსახურდიას თბილისის დატოვება

**ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ თ.კიტოვანისა და თ.სიგუას ინტერვიუებმა ზოგიერთი საკითხის დასაზუსტებლად მოითხოვა დამატებითი შეკითხვები, რომლის პასუხებიც მან ციხიდან გამოგვიგზავნა. გთავაზობთ ამ კითხვებსა და თ.კიტოვანის პასუხებს.**

**- ბატონო თენგიზ, გთხოვთ გვიამბოთ, როგორ მოხდა ზ.გამსახურდიას გაშვების ორგანიზება. ვინ გადაწყვიტა ეს საკითხი?**

— ზვიად გამსახურდიას გაშვება მოხდა შეგნებულად, ჩვენთან იყო სომხეთის დელეგაცია. მე მათ სპეციალურად ვაჩვენე ორი უზარმაზარი თვითმფრინავის ყუმბარა, მათ ეჭვის თვალით დაუწყეს ყურება ყუმბარას. მე ვუთხარი, რომ ეს თუ მოხვდა მთავრობის სახლს, სოლოლაკიც დაინგრევამეთქი. როგორც მოგეხსენებათ, სოლოლაკში სომხები ბევრნი ცხოვრობენ... მათ სასწრაფოდ მოუსვეს გამსახურდიასთან და დააჩქარებინეს თბილისის დატოვება, თანაც ჩვენ დეზინფორმაციებს ვუშვებდით ჩვენს სამხედრო პრიორიტეტზე. მაშინ გამსახურდიას ჰყავდა 5443 კაცი შეიარაღებული. რომ არა მისი მხდალი ოფიცრები, მას თავისუფლად შეეძლო მაგარი წინააღმდეგობის გაწევა და ჩვენი დამარცხებაც. მე ვიცოდი სად ეძინა ღამე გამსახურდიას, რომელ საწყობში ჰქონდა მოწყობილი საძინებელი. გია გულუა რომ შეუვარდა მთავრობის სახლში, მათ ზემოთ დაიწყეს სროლა. ერთი ბეტეერი პირდაპირ გადმოაფრინდა პატარა აუზს და რუსთაველზე ამოჰყო თავი. ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ ჩვენ ზვიადის მოკვლა არ გვინდოდა. ჩვენ მას ვაიძულებდით, რომ დაეტოვებინა თბილისი. მე ადრეც აღვნიშნე, ჩვენ გავაკეთეთ კორიდორი აღმოსავლეთისკენ, ეს თენგიზმაც კარგად იცოდა და, რასაკვირველია, გვარდიის ზოგიერთმა ოფიცრობამ. გვარდიელებმა, ვინც იცოდა, ზვიადის ესკორტი გაატარეს; ვინც არ იცოდა, მე ადრეც დავწერე ჩვენი კომუნიკაციების და კავშირების ამბავი, პატარა შეხლა-შემოხლა მოხდა. მაშინ ყველას ვერ ვანდობდი, თუ რა გზით აპირებდა ზვიადი გასვლას.

**- სახელმწიფო საბჭოს დროსა და პარლამენტშიც თქვენ სადავო საკითხების განხილვისას არაერთხელ გითქვამთ ასეთი ფრაზა: „გვარდია ამას არ დაუშვებს“. რას გულისხმობდით ამ სიტყვებში? თუ ეს იყო მხოლოდ ზემოქმედებისთვის გამიზნული?**

— მე ვიძახდი იმას, რომ გვარდია არ დაუშვებდა საკუთარი ხალხის დარბევას და პოლიციური რეჟიმის ჩამოყალიბებას საქართველოში, რასაც დღეს ადგილი აქვს. ყველაფერი გაკეთდა იმის გულისთვის, რომ საქართველოში საპოლიციო რეჟიმი ჩამოყალიბდა. აქ ზედმეტია დემოკრატიაზე ლაპარაკი. შევარდნაძეზე ვერავინ ვერ მოახდენს გავლენას, რომ საქართველო იყოს დემოკრატიული სახელმწიფო. მას თვითონ სისხლში აქვს პოლიციური სული, თქვენ ნახეთ მაგის გამოსვლები და ყველგან იძახის რეჟიმი, რეჟიმიო. ეს არის მისი პოლიტიკა. კაცი, რომელიც მალავს სიმხდალეს, ყოველთვის ცდილობს პოლიტიკური რეჟიმით ჩაახჩოს თავისი უცოდინრობა. ეს ჩემი დაკვირვებით არ არის, ამას გვაჩვენებს მსოფლიო პრაქტიკა. კაცს, რომელსაც თავისი ჯარი არ უყვარს და ცდილობს ჯარის დაშლას და დასუსტებას, სხვისი ჯარის იმედით ყოფნას, ესეც მისი, მხდალი ადამიანის პოლიტიკაა, სხვისი ხელით ნაკვერჩხლის აღება. მაგრამ მე ვფიქრობ ყველამ გაუგო და მის მაგივრად ნაკვერჩხალს არავინ აიღებს დღეს, თუ არა ეროვნული სულის მატარებელი ხალხი.

**- როდესაც თ.სიგუა პირველი კენჭისყრით ვერ გავიდა პრემიერ-მინისტრად, თქვენი ბრძანებით პარლამენტს ტანკები და გვარდია შემოერტყა. რას აპირებდით მაშინ?**

— თენგიზ სიგუა რომ არ გავიდა პირველი კენჭისყრით, ეს იყო შევარდნაძის სცენარი და ედპ-სი, რომელსაც შევარდნაძე მაშინ ეყრდნობოდა როგორც პოლიტიკურ ძალას. პარლამენტში მაშინ არავინ მოსულა ჯარის ნაწილებიდან და არავის არ დაუვიწყია მუქარა. ერთი ის იყო, ვისაც თენგიზი უყვარდა, ის ბიჭები იყვნენ პარლამენტში. გარდა მაგისა, შევარდნაძე და მე თითქმის ოთხი საათი ვეხვეწებოდით, რომ თენგიზი დარჩენილიყო, შევარდნაძეს კი ჩუმად ეცინებოდა. ამით აგრძნობინებდა, რომ მას ჰყავდა მორჩილი პარლამენტი და რასაც უნდოდა, იმას გადაწყვეტდა. ბოლოს კი ყველა მიხვდა: ვინც ეროვნულ ძალებს ბრძოლა დაუწყო, საკუთარ თავზე განიცადეს შევარდნაძის მზაკვრობა და დღესაც ედპ-ს გახლეჩვა მაგის სცენარით მიმდინარეობს და ყველაფერი, რაც ხდება საქართველოში — ძალადობა, მიწების გაყიდვა, კორუფცია, მაფია — სულ შევარდნაძის ხელი ურევია. მან ჯაბა მოსპო, ჯაბას ადგილი მისმა ნათესაურმა კლანმა დაიკავა. ვნახოთ, როდემდის გაგრძელდება საქართველოს მიწების გაყიდვა. ყველა ბოროტ დასაწყისს ტრაგიკული დასასრული აქვს. ასეთია ბუნების კანონი.

**- თქვენი გადადგომა თავდაცვის მინისტრისა და ვიცე-პრემიერის პოსტიდან კონკრეტულად რა ფაქტორებმა განაპირობეს? თუ ამაზე გადამწყვეტი როლი შეასრულა ი.სარიშვილის თქვენს წინააღმდეგ გამოსვლამ? რატომ არ დარჩით მხოლოდ ვიცე-პრემიერის პოსტზე, როდესაც ეს წინადადება შემოგთავაზეს?**

— ჩემი გადადგომა განაპირობა შევარდნაძის გამყიდველურმა პოლიტიკამ. ახლა რომ გითხრათ, მე რომ მდომოდა დარჩენა, შევარდნაძე შეძლებდა ჩემს გადაყენებას? სადაც მე იმდენი ძალა მყავდა, რამდენიც საჭირო იყო სარიშვილის თქმით — ავანტურისტული გამოსვლებისთვის, რასაკვირველია მე არ გადავდგებოდი. მე ველაპარაკე ჩემს ახლობლებს, გავაკეთეთ მთლიანად ანალიზი, თუ როგორ დამთავრდებოდა ყველაფერი ეს. სხვათაშორის, კაკ[illegible]საც ველაპარაკე და ჯონი ხეცურ[illegible]ნსაც. მათაც მითხრეს, სწორს აკეთებ, საერთოდ რომ გადადგებიო. ისე ირინამ მითხრა, ჩემმა ცოდვებმა გიწიაო. კიდევ კარგი, რ[illegible] გადარჩა. ჩემი გადადგომა კიდევ განაპირობა აფხაზეთის საკითხმა და ცხინვალის საკითხმა. ცხინვალში, თუ გახსოვთ, პირველად შემოვიღე ცისფერჩაფხუტიანების ბრიგადა, სადაც გავაჩერეთ პარტიზანული კონფლიქტი. ჩვენს ხელისმოწერებში არსად არ იყო ხსენებული სამხრეთ ოსეთი როგორც ავტონომია ან მხარე და საერთოდ სამხრეთ ოსეთზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, თვითონ გალაზოვიც ერიდებოდა ჩემთან სამხრეთ ოსეთის ხსენებას. თქვენ შეგიძლიათ ეს საბუთები ნახოთ. მე მიკვირს ნოდარ ნათაძის. მას ხომ ყველაფერი ნანახი აქვს და რაც დღეს ხდება საქართველოში, მე ხომ მას 3 წლის წინათ ვუთხარი. ეს იყო რამაც განაპირობა ჩემი წასვლა. ნოდარს ვუთხარი, რომ შევარდნაძე ნაბიჯნაბიჯ ჩააბარებს - მეთქი საქართველოს. მაშინ უნდა დაეჯერებინა ჩემთვის. ეტყობა, მაშინ ჩემი ნათქვამი ყველას ჩემი ფანტაზიის ნაყოფი ეგონა. თვითონ თენგიზ სიგუას ვუთხარი, მასაც ეს ფანტაზია ეგონა. თენგიზი არის კანონის კაცი და ვერ წარმოიდგენდა, თუ შევარდნაძის პოლიტიკას ამდენი სივერაგე შეეძლო როგორც ეკონომიკაში, ასევე ყველა სფეროში.

P.S. ჩემი ნათქვამი ეტყობა ბეპაევზე ვერ იყო გრამატიკულად დაწერილი. მე და ბეპაევმა 80 ათასი რუსი ჯარისკაცი შევამცირეთ 12 ათასამდე მმათ ჰქონდათ დარჩენილი სულ სამი ბაზა — ბათუმი, ახალქალაქი და ვაზიანი. მათ 1993 წლის დეკემბერში უნდა დაეტოვებინათ საქართველოს ტერიტორია ან მთავარი შტაბი უნდა გადაეტანათ სასომხეთში, თანახმად ჩვენი სიტყვიერი მოლაპარაკებისა.

**- აღწერეთ დეტალურად როგორ მოხდა 1991 წლის 27 დეკემბერს ჯ.იოსელიანის, გ.ჭანტურიას, გ.ხაინდრავას, გ.გიორგაძის და სხვათა განთავისუფლება ციხიდან თქვენი გვარდიელების მიერ?**

— ჯაბას განთავისუფლებას წინაისტორია ჰქონდა. ირინა სარიშვილი ხშირად ამოდიოდა ზღვაზე. მე ძალიან მეცოდებოდა გია, რომელიც ჯაბასთან ერთად იჯდა სუკის იზოლატორში. მე რადგან უკვე ვიჯექი სუკის იზოლატორში, კარგად ვიცოდი მისი განლაგება და ჩემი აზრი შევთავაზე ირინას, რომ შეიძლებოდა იზოლატორის აღება და შიგ შესვლა ყოფილ ემვდ-ეს სამინისტროდ. იქიდან იყო შესასვლელი პირდაპირ სუკის იზოლატორის საკნებთან, მაგრამ ედპ-ს ლიდერები თავს იკავებდნენ. როგორც ადრე მოგახსენეთ, 22 დეკემბერს სროლა დაიწყო მთავრობის სახლიდან, მე გადამოწმებული წყაროებიდან ვიცი, რომ სროლა დაიწყო შინაგანმა ჯარმა, შინაგანი ჯარის უფროსი მაშინ იყო ჭელიძე. ჭელიძემ შემოიტანა ის ტყვიები, რომელმაც ნახევარი ქალაქი დაწვა. ნახეთ თბილისის ომის კადრები და დარწმუნდებით ამაში, ან ნახეთ ემვდ-ეს საწყობის გამგე და ის გეტყვით, რომ ჭელიძემ საწყობებიდან გაიტანა ტრასირების ცეცხლგამჩენი ტყვიები. მას ჰყავდა კარგად ჩაცმულ-დახურული კონტიგენტი და ჩანან კიდევაც კადრებში. ეტყობა ბატონ რომან გვენცაძეს არ უნდა დაასახელოს ის, ვინც მას ესროდა.

სასწაულად გადარჩა ბატონი რომანი და რომ არ გახოხებულიყო და თავი არ დაეღწია იმ ადგილიდან, შეიძლება დღეს ცოცხალიც არ ყოფილიყო. მერე შეიძლება ოპოზიციას დაბრალებოდა, რომ გვენცაძე ჩვენი ხელით იყო მოკლული და დაიწყებოდა ახალი პროვოკაციული ისტერიები. ამას იმიტომ ვწერ, რომ მკითხველს წარმოდგენა ჰქონდეს 22 დეკემბრის მოვლენებზე. ეხლა რაც შეეხება ჯაბას გამოყვანას. მე გავიგე, რომ ზვიადის უნდოდა ჯაბას გაქცევანა ბუნკერში, ამით ის იზოლაციას უკეთებდა მხედრიონის წევრებს, რომლებიც ჩემთან ერთად იბრძოდნენ. 26 დეკემბერს, დაახლოებით 30 კაცი შეიარაღებული მივიდა სუკის იზოლატორში და ითხოვდნენ პრეზიდენტის ბრძანებით ჯაბა იოსელიანის გადაყვანას ბუნკერში. სუკის იზოლატორის უფროსმა ბ-ნმა ტარიელმა არ გაატანა ჯაბა იოსელიანი ამ შეიარაღებულ პირებს. რომ გაეტანებინა, დღეს შეიძლება საქართველოს ისტორია სხვანაირად დაწერილიყო. მე როგორც ეს გავიგე, 27-ში საღამოს გავეცი ბრძანება და გელა გიორგაძის მეთაურობით თავს დაესხნენ სუკის იზოლატორს, გამოიყვანეს ჯაბა იოსელიანი, ხაინდრავა, გია ჭანტურია, მამუკა გიორგაძე, ზაზა ვეფხვაძე, ბუღა და რა ვიცი, ვინც იქ იყო. ყველა მოვიდა ჩემთან შტაბში გარდა ბუღასი, რომელიც ჩუმად გაიპარა სახლში, ეტყობა, რაღაც ვერ ჰქონდა კარგად საქმე.

გაგრძელება მე-3გვ.

მე-2 გვერდიდან

მიმართ დავძლიე, თუ საქართველოს დასჭირდებოდა, რას მიქვია ჩემი პირადი შეხედულებები. ჩვენ უკვე 64 ქვეყანამ გვაღიარა როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, ისე, რომ ამაში შევარდნაძეს არავითარი წვლილი არ შეუტანია. ეს არის დაფიქსირებული, სანამ შევარდნაძე საქართველოში ჩამოვიდოდა. რასაკვირველია, ის არ უნდა დაუკარგო ადამიანს, რაც მან გააკეთა. ჩვენ გვგონა, რომ იგი მოიზიდავდა ინვესტიციებს, ეკონომიურად გაამაგრებდა საქართველოს, მაგრამ მოხდა პირიქით, მის დროს მოხდა საქართველოს ეკონომიკის დაქცევა: 600 მლნ დოლარი დაიტაცეს მისი ხელმოწერებით. მარტო მწვანეების პარტიამ წაიღო ეს ორი მილიარდი ერთი და 700 მილიონი მეორე. ეს თენგიზ სიგუამ კარგად იცის. მე ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ შავიშვილის გადადგომა ამ თანხებთან არის დაკავშირებული. ამ თანხებთან არის დაკავშირებული დვალიშვილის მკვლელობაც. ამიტომ არის, რომ ისინი ასე ებღაუჭებიან თავიანთ თანამდებობას, რათა მათ მიმართ არ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. დღეს იქნება თუ ხვალ, მათ მოუწევთ პასუხისგება იმ განიავებული თანხების მიმართ.

**- შევარდნაძის მოწვევა ხომ უავტორიტეტო სამხედრო საბჭოს გადარჩენის შანსი იყო, რომელსაც არავინ სცნობდა მსოფლიოში? და თუ ის არა, ვის გულისხმობდით ქვეყნის პირველ პირად?**

— მე როგორც ადრე დავწერე, ეხლაც იმას ვწერ. რუსეთის გარკვეული წრეები მას დასდევდნენ მოსაკლავად. გამორიცხული არ არის, დღესაც თუ მოვიდნენ კომუნისტები რუსეთში, შევარდნაძეს დაადონ ხელზე ბორკილები. ისინი არ მოერიდებიან საქართველოს პრეზიდენტს ან მის მოსახლეობას. პასუხს აგებინებენ იმ დანაშაულზე, რაც მან ჩაიდინა რუსეთთან მიმართებაში და ადვილი მოსალოდნელია საქართველოში ჩატარდეს ახალი არჩევნები. თუ ვერ გავიდნენ კომუნისტები, მაშინ მოსალოდნელია სამოქალაქო ომი, რაც კარგს არაფერს უქადის შევარდნაძეს და მის გვერდზე მყოფ პოლიტიკოსებს. სამხედრო საბჭო ჩემთვის, როგორც პიროვნებისთვის, იყო დამამძიმებელი და ვჩქარობდი, რომ როგორმე დროზე მოგვეშორებინა სამხედრო საბჭოს სტატუსი საქართველოში, რითაც კარგად ისარგებლა შევარდნაძემ და დაიწყო ჩუმი სახელმწიფო გადატრიალება, ერთმანეთის დაპირისპირება, რაშიც მაგ კაცს მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს. ისეთი თესლის ჩაგდება იცის, რის შემდეგადაც ზოგი მკვდარია, ან მოკლული, ან ციხეში. მაგრამ მისდა საუბედუროდ, ყველამ გაუგო და ყველა ფრთხილობს, რათა შევარდნაძის მახეში არ გაებან. ამით მან პოლიტიკური კრახი განიცადა. საქართველოს მოსახლეობის 95% აგინებს, სადაც ვინმეს ხელი ან ენა მიუწვდება, ხდება მისი გინება და წყევლა. ეს თვითონაც კარგად იცის და ამიტომ მილიციისა და სუკის ნარჯზე ინარჩუნებს სტაბილიზაციას, რაც დიდხანს ვერ გასტანს. მოსახლეობის 90%-ზე მეტი შიმშილობს, ერთი ქალბატონ ნანულის დაუნიშნეთ 10 ლარი და როგორ იცხოვრებს, ვნახოთ. ტელევიზიით რომ ასწავლის დიასახლისებს, როგორ დახარჯონ 10 ლარი 1 თვის განმავლობაში. რაც შეეხება შევარდნაძის კანდიდატურას, ეს ედა-მ შექმნა და იმ ინტელიგენციამ, ვინც ზვიადს კრიჭაში ედგა. ჩემი და უმრავლესობის გეგმა იყო, რომ საქართველო ყოფილიყო საპარლამენტო ქვეყანა თავის პრემიერ-მინისტრით. თენგიზ სიგუა მშვენიერი პრემიერი იყო და არის, შეადარეთ ვისაც გინდათ თენგიზ სიგუა და ყველა მიხვდებით, რომ ასეთი რაფინირებული ინტელიგენტი და მცოდნე პრემიერ-მინისტრი ევროპას მოენატრებოდა. ერთი ეგ იყო, რომ ბატონი თენგიზი მართავდი არ არის, და ვერავინ მართავდა მის წესიერებას და პატიოსნებას. მე ერთხელ ვუთხარი შევარდნაძეს, სანამ მე ცოცხალი ვარ, პრეზიდენტი საქართველოს არ ეყოლება-მეთქი და ამიტომ ვზივარ დღეს აქ. მოვა დრო, რომ საქართველო იქნება უპრეზიდენტოდ. პრეზიდენტი ერთი იყო საქართველოში — ზვიად გამსახურდია. მეტი პრეზიდენტობა და ფალსიფიკაციები აღარავის უნდა.

**გაგრძელება იქნება**

**მკითხველს ემახსოვრება, თენგიზ კიტოვანი წერდა: როცა შევარდნაძე შინაგან საქმეთა მინისტრი იყო და პირველად დამიჭირა, მაშინ მომიწყო დიდი პროვოკაციაო. ვიდეომასალა, რაც მამაჩემმა დამიტოვა იმ საიდუმლოს ფარდას ხდისო.**

**ორშაბათის ნომერში დაიბეჭდება თენგიზ კიტოვანის აწ-გარდაცვლილი მამის შოთა კიტოვანის ვიდეოჩანაწერის ტექსტი.**

# ასე იცის „ბაბუსთან“ ურჩობამ

## ბაბუს ახალგაზრდა ჩინოვნიკები შევარდნაძეს ეძახიან. ურჩი კი თემურ ჟორჟოლიანი გახლავთ

**თემურ ჟორჟოლიანის სასამართლო განაჩენს, 19 ივნისს, ჟამრავი ხალხი დაესწრო. სამგორის რაიონის სასამართლოს შენობა საქათმეს ჰგავს, ხოლო სასამართლო სხდომათა დარბაზი ლილიპუტი თხუნელებისათვის თუ აღიქმება დარბაზად. ჰოდა, იდგა ამ ნახევრად ბნელ სოროში ასზე მეტი კაცი და სულგანაბული უსმენდა მოსამართლეს. ასეა თუ ისე, ამ ადგილას წყდება უამრავი კაცის ბედი, რომელთა უმრავლესობას აქ ნაკითხულით კიდევ უფრო უარეს სოროში უკრავენ თავს სასჯელის მოსახდელად.**

**თემურ ჟორჟოლიანს** კი იმ დღეს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მოსამართლე ქეთევან ყურაშვილი ეცადა არც მწვადი დაეწვა და არც შამფური. თუმცა, ბრალდება უსუსურ, ხარვეზებით სავსე მტკიცებულებებზე იყო აგებული, ხოლო გამოძიების ყველა შეცდომა განსასჯელის გასამართლებლად გამოიყენება, მაგრამ ცამდე მართალიც რომ ყოფილიყო ჟორჟოლიანი, მას დასჯა არ აცდებოდა. მოსამართლე კიდევ ერთი პრობლემის წინ იდგა თუ ძალიან ჩაუღრმავდებოდა და ჟორჟოლიანს გამართლებდა, მაშინ მოწმე პოლიციელების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დადგებოდა. ეს კი საზოგადოებაში ზედმეტ ხმაურს გამოიწვევდა და მეტ პრობლემებს შექმნიდა. ასე, რომ ჯოხი ისევ განსასჯელზე გადატეხეს. ასეა, როცა დეპუტატობაც გინდა და ოპოზიციონერობასაც არ თმობ; ასეა, როდესაც სახელმწიფოს მეთაურს ჩაეხუტები და თან ბაგრატიონებს დაეძებ ტახტის მემკვიდრედ. თუმცა, თემურ ჟორჟოლიანის გასამართლებლად უნდა ითქვას, რომ იმდენად ცოცხალ ბაგრატიონებს კი არ ეძებდა, არამედ გარდაცვლილის გადმოსვენებაზე ზრუნავდა. ისიც უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ბაგრატიონთა საფლავების ძიებით რომ შემოფარგლულიყო მონარქისტული პარტია და მისი ლიდერი, იქნებ კრედიტიც გამოეყოთ სახელმწიფოს საიდუმლო ფონდიდან. მაგრამ თემურ ჟორჟოლიანი ბაგრატიონებს არ დასჯერდა და სენაკელი უბრალო ბიჭების საფლავებს დაუწყო თხრა. რატომ დაიწყო ეს და რისთვის, შორს წაგვიყვანს და- მსხვილ-მსხვილი გვამების რისხვასაც დავიმსახურებთ, ამიტომ ისევ სასამართლოს სხდომას დავუბრუნდეთ.

მოსამართლე ქეთევან ყურაშვილმა ჩათვალა, რომ პოლიციის ექსპერტ-კრიმინალისტი შოშიაშვილი მართლაც დაჭრა ფეხში თემურ ჟორჟოლიანმა, თანაც იმდენად მსუბუქად, რომ კოლეგებმაც ვერ შეამჩნიეს მისი მსუბუქად დაკოჭლება. ამავე დროს შოშიაშვილისთვის დაჭრის წინ ჟორჟოლიანს არ უთქვამს, დეპუტატი ვარ და უნდა დაგჭრაო, ამიტომ 187 მუხლის მესამე ნაწილი (უფლებამოსილების გადამეტება) შეუცვალეს 112 მუხლის პირველი ნაწილით და 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მოსამართლე აღარ გამოეკიდა იმ ფაქტს, რომ ამ დროს ჟორჟოლიანი, მოწმეების ჩვენებით, დასავლეთ საქართველოსკენ მიაჭროლებდა მანქანას და ქუთაისში თანაპარტიელის დაბადების დღეზე მიწვეულს, ბოლოკგაჩრილი შებრაწული გოჭი და იმერული ხაჭაპურების დაგემოვნება უფრო უტრიალებდა თავში, ვიდრე სამგორის პოლიციის ინტრიგები.

არც ნარკოტიკების თემურ ჟორჟოლიანის ჯიბიდან ამოღების ფაქტი უარყო მოსამართლემ და 252 მუხლის მესამე ნაწილით 1 წელი მიუსაჯა. ქეთევან ყურაშვილმა ყურს იქეთ გაუშვა ის ფაქტი, რომ გზაზე დაგზირებული 15-მდე პოლიციელი დაესია დეპუტატს და ძიძგილაობაში ვინ რა ჩაუდო ჯიბეში, კაცმა არ იცის. მოსამართლემ არ შეამჩნია, რომ დაირღვა პარლამენტის წევრის კანონით მინიჭებული იმუნიტეტი, ჟორჟოლიანმა იყვირა, დეპუტატი ვარო და მოწმობაც ააფრიალა, მაგრამ პოლიციელებმა მოწმობა გადაუგდეს და ჩხრეკა დაუწყეს. უნდა ითქვას, რომ ჩვენი პოლიციელები პოლიტიკურად ძალიან გაუთვითცნობიერებლები არიან და ტელევიზორსაც არ უყურებენ. მგონი არც ის იციან, რომ პარლამენტი გვყავს, თანაც მრავალპარტიული. მგონი არც ის იციან, რომ პოლიციელები ჰქვიათ და არა მილიციელები. კანონის ცოდნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. კანონი, პოლიციის უფროსმა გამომძიებლებმაც და თვით მილიციის უფროსებმაც არ იციან, რადგან ჟორჟოლიანის სახლის გასაჩხრეკად გენერალური პროკურორის სანქციის გარეშე გაეშურნენ. გაჩხრიკეს სახლი და პირადი იარაღის და ტყვიების გარდა ავტომატების შენახვის დაბრალებაც უნდოდათ. ფაქტი იმდენად კანონსაწინააღმდეგო იყო, რომ მოსამართლემ საერთოდ მოხსნა ბრალდება 238 მუხლის მე-4 ნაწილით, რადგან ჩხრეკა სახლის მეორე სართულზე მიმდინარეობდა და უკვე დამთავრებული იყო, როდესაც პოლიციელმა ეზოდან აუტანა ჩხრეკის მონაწილეებს ავტომატები. გამომძიებლებმა იმდენად გაიხარეს, რომ ყურადღება აღარ მიაქციეს როგორ, სად, და ვისი თანდასწრებით ამოიღო პოლიციელმა ავტომატები. იქვე მიაწერეს ჩხრეკის ოქმს და საქმეც კარგად ჩაწყობილი ეგონათ, რადგან ამ ავტომატების გამო თემურ ჟორჟოლიანს ათი წლით მაინც მოიცილებდნენ თავიდან. მოწმეების ჩვენებებმა კი აჩვენა, რომ თუმცა ეზო და მშენებარე სახლიც, საიდანაც ვითომ პოლიციელმა ამოიღო ავტომატები, პოლიციელებით იყო სავსე, მაგრამ ამოღების ფაქტის მოწმე არავინ აღმოჩნდა. მოსამართლემ ამ ნაწილში კი ივაჟკაცა, მაგრამ არ აპატია ჟორჟოლიანს პისტოლეტის გაფორმების გარეშე შენახვა და ტარება. „მაკაროვის“ ტიპის პისტოლეტზე, რომლის გამოც ჟორჟოლიანის ნათესავმა უკვე მოიხადა სასჯელი, ახლა თ.ჟორჟოლიანს მისცეს 238 მუხლის პირველი ნაწილით 2 წელი.

ყველა ზემოთქმულ დანაშაულზე თემურ ჟორჟოლიანს 1995 წლის 2 ივნისის ამინისტია შეეხო. ამიტომ მოსამართლე გამკაცრდა და ჟორჟოლიანის სახლში აღმოჩენილი n—38 „ვალტერის“ პისტოლეტის შენახვისათვის 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა 238 მუხლის მეორე ნაწილით. 7 წლის საკასაციო ვადის გასვლის შემდეგ განაჩენი ძალაში შედის და სასჯელის მოხდის ვადა თემურ ჟორჟოლიანს ეთვლება 1995 წლის 30 სექტემბრიდან.

თემურ ჟორჟოლიანი ადვოკატ თემურ გოქსაძესთან ერთად აპირებს საქმის კასაციაზე გადაცემას. ამდენად, საბოლოო განაჩენი ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩება.

სასამართლო დამთავრდა. თემურ ჟორჟოლიანი პირველი მერცხალია პარლამენტის დეპუტატებიდან, რომელსაც სასჯელი დაადეს. მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს დეპუტაციიდან ის არც პირველია და ეტყობა, არც უკანასკნელი. თუ შევადარებთ უზენაესი საბჭოს დეპუტატებისათვის გამოტანილ სასჯელებს, შეიძლება ციხის ენაზე ითქვას, რომ თემურ ჟორჟოლიანს „Детский срок“-ი აჰკიდეს. ასე იცის ბაბუსთან ურჩობამ.

**მ.იაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბორჯომის ტყეებში ჩამარხული გვამების ისტორია

**საქართველოს პროკურატურამ დაამთავრა გახმაურებული 29 აგვისტოს ტერორისტული აქტის გამოძიება, რომელშიც ძირითადად „მამველთა კორპუსის“ წევრები იმხილებიან. პრესაში უკვე დაიბეჭდა ზოგი საქმის შესახებ არსებული მასალები, რომელნიც საბოლოოდ დასადგენია მხოლოდ სასამართლო პროცესზე.**

ზოგიერთი თანამონაწილე თავად აღიარებს ჩადენილ დანაშაულს და საქმის ვითარებას ისე დეტალურად აღწერს, რომ ეჭვის შეტანა მკითხველს გაუჭირდება. ჩვენმა გაზეთმაც საზოგადოებას გააცნო დაკითხვის ის ოქმები, რომლებიც შუქს ფენენ გია გულუას მკვლელობას, ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმის მცდელობას.

ამჟამად კი გვინდა წარმოვადგინოთ ე.წ. „ბორჯომის საქმე“, რომლის გარშემოც თავის დროზე აჟიოტაჟიც ატყდა და ტელევიზიით მომზადებულ სპეციალურ გადაცემაშიც წარმოდგენილ იქნა ჯ.იოსელიანის, თ.ხაჩიშვილის, გ.გელაშვილის ფოტოსურათი ბორჯომის „მხედრიონელებთან“ ერთად. მართალია, ეს სურათი ერთი წლით ადრე იქნა გადაღებული, მაგრამ გადაცემაში მაინც მოხსენიებულ იქნა, როგორც ამ საზარელი მკვლელობის აღსანიშნავად სამახსოვროდ აღბეჭდილი. ყოველივეს ალბათ სასამართლო გაარკვევს, ამჟამად კი მივყვეთ საქმის ვითარებას საგამოძიებო მასალების მიხედვით, სადაც გამოვიყენეთ ერთ-ერთი მონაწილის გ.იაკობაშვილის ჩვენება. ამიტომაც ფაქტები მაქსიმალური სიზუსტითაა დაცული.

მკითხველის ყურადღებას თავიდანვე მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ გამოძიებამ ყურადღება რატომღაც მარტო „მხედრიონის“ წევრებზე გაამახვილა, მაშინ როდესაც არანაკლებ შეიარაღებულ ფორმირებას წარმოადგენდნენ „თეთრი არწივის“ წევრებიც, რომელთა შორის ბორჯომის რაიონში გავლენის სფეროების განაწილებისათვის ეს ტრაგედია დატრიალდა.

გამოძიების მასალებით, 1993—94 წლებში ბორჯომის რაიონში „მხედრიონის“ ბაზაზე შეიარაღებული ბანდა შეიქმნა. ამ შემთხვევაში გამოძიება ასეთივე კვალიფიკაციას არ აძლევს „თეთრ არწივს“, რომელიც საქმიდან გამომდინარე, არანაკლები ბანდა ყოფილა. კონფლიქტი ამ ორ ბანდას შორის ერთ დღეს არ დაწყებულა. იგი კარგა ხანს გრძელდებოდა და რაიონის მაცხოვრებლებიცა და ხელმძღვანელობაც აუცილებლად საქმის კურსში იქნებოდნენ. სამწუხაროდ, ამ დუმილმა და უმოქმედობამ დანაშაულისათვის ხელშემწყობი პირობები შექმნა.

ამ უთავბოლო დავის გადასაჭრელად „მხედრიონელებმა“ გადაწყვიტეს, ანგარიში გაესწორებინათ „თეთრი არწივის“ ხელმძღვანელთან ივერი მაღრაძესთან, რითაც რაიონზე ერთპიროვნულ ზეგავლენას აღწევდნენ. ამისთვის კი 1994 წლის 11 ნოემბერს გიორგი იობაშვილი, გოჩა და პაატა თედიაშვილები, ჯუმბერ საყვარელიძე და გელა ნოზაძე მსხვერპლს ჩაუსაფრდნენ წაღვერთან, ტყის პირას (ბორჯომ-ბაკურიანის მე-15 კილომეტრზე). ამ დღეს ივერი მაღრაძემ არ გამოიარა და „ოპერაციაც“ ჩაშალა.

მეორე დღეს, 12 ნოემბერს, იმავე ადგილას ჩასაფრება განმეორდა. მათი მონაცემებით ივერი მაღრაძე თავისი ჩალისფერი „უაზ-469“-ით წაღვერში იმყოფებოდ ა. დაახლოებით 10 საათისათვის იმავე მოდელისა და ფერის მანქანით ჩამოიარა ბაკურიანის შს ქვეგანყოფილების მძღოლმა დავით ბუხრიკიძემ, რომელსაც წინა სავარძელზე ორი მცირეწლოვანი შვილი ეჯდა. ატეხილი სროლის შედეგად ბავშვები დაიჭრნენ, ხოლო მანქანიდან გადმოსული დ.ბუხრიკიძის ამოცნობის შემდეგ, ჩასაფრებულები მიიმალნენ.

თვით ეს ეპიზოდიც მრავლისმეტყველია. დაჭრილი ბავშვების საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ, არც პოლიციელზე თავდასხმის გამო, ბორჯომის პოლიციას სათანადო ზომები არ მიუღია. გამოძიებაც ამის თაობაზე სდუმს.

20 ნოემბერს კი კონცერნ „ბორჯომის ხეობაში“ დირექტორი თამაზ კურტანიძე უმასპინძლდებოდა მიხეილ სამსონაშვილს, „პანწკალა“ ხარაიშვილს, ჯუმბერ საყვარელიძეს, რომლებსაც მოგვიანებით გიორგი იობაშვილიც შემოესწროთ. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, კარგა შეზარხოშებულებს „ესტუმრა“ ასევე ნასვამ მდგომარეობაში მყოფი „თეთრი არწივის“ უფროსი ივერი მაღრაძე, რომელსაც ახლდნენ ედუარდ აკოფიანი, ვახტანგ ხუციშვილი, ნინო კანტიძე და ზაირა დარბიაშვილი. ერთ-ერთ ქალიშვილს ხელში ავტომატი ეჭირა, დანარჩენები კი პისტოლეტებით იყვნენ შეიარაღებულნი. შემოსვლისას ივერი მაღრაძემ გიგა გელაშვილი მოიკითხა, რაზეც თ.კურტანიძემ უპასუხა: „ფეხბურთს უყურებს და მოვაო“. მოსულთაგან ერთ-ერთმა ერთი შამპანიურის ყუთი და ყანწი შემოიტანა და მასპინძლებს წინა დღით ივერი მაღრაძის დაბადების დღის აღსანიშნავი სადღეგრძელო შესთავაზა. სასმისი ყველამ დაცალა, რის შემდეგაც „იუბილარმა“ გამომწვევად აღნიშნა: „მხედრიონი“ ბორჯომს ვერ პატრონობს, მაგათი უთავმოყვარეო დედა ვატირე“, რაზედაც მიხეილ სამსონაშვილმა მიუგო: „შენ ბაკურიანს მიხედე, ბორჯომს ბორჯომელებიც მიხედავენო“. სხვებმა სიტუაციის განმუხტვა სცადეს, მაგრამ ივერი მაღრაძემ კატეგორიულად განაცხადა: „მე აქედან არ წავალ, სანამ „მხედრიონის“ უფროსი არ მოვაო“. ვითარება მაქსიმალურად დაიძაბა და მიხეილ სამსონაშვილი წასვლის მიზნით კიბეებისკენ გაემართა, რომელიც ივ.მაღრაძემ საყელოში ხელის მოკიდებით შემოაბრუნა. ამ დროს გაისმა სროლა, რომელიც ერთი წუთი გრძელდებოდა და სტუმრებიც დაზოგილები აღმოჩნდნენ.

ამის შემდეგ გვამები გადაიტანეს სოფელ დაბის დასაწყისში მდებარე „საქმშენტრანსის“ №10 ავტოსაწარმოს ტერიტორიაზე. ჩაყარეს საწვავის ორ ავზში და მიწაც დააყარეს. მოკლულ ე.აკოფიანის „აუდი“ კი ჯერ სოფელ ოსიაურში, შემდეგ ბორჯომში „კომპოზიტორთა სახლის“ მიმდებარე ტყეში სპეციალურად გათხრილ ორმოში დამარხეს.

გამოძიებამ ისიც დაადგინა, რომ 1994 წლის 20 სექტემბერს, გვიან ღამით, გიგა გელაშვილი, სახლში მისულა გიორგი იობაშვილთან და ცემაში შემომკვდარი კაცის დამარხვა უთხოვია. საგამოძიებო მასალებით კი გიგა გელაშვილს, უშიშროების სამსახურის სპეცდანიშნულების რაზმის „ომეგას“ წევრების დახმარებით თბილისიდან ჯიმი მერაბიშვილი გაუტაცნია და მოუკლავს. შემდგომ კი გვამი გ.იობაშვილმა ბორჯომი-ბაკურიანის ტრასის მე-7 კილომეტრზე ტყეში დამარხა.

ასეთია ამ ტრაგედიის ისტორია.

გთავაზობთ ამ მკვლელობის ერთ-ერთი მონაწილის გიორგი იობაშვილის დაკითხვის მასალებს.

**გუგაზ მეგრელიძე**

# მკვლელობა კონცერნ «ბორჯომის» ოფისში

## მკვლელობის თანამონაწილის ჩვენებიდან

**1994 წლის** 20 ნოემბერს კონცერნ „ბორჯომის ხეობაში“ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გაჩვენებთ, რომ აღნიშნული კონცერნის დირექტორია თამაზ კურტანიძე, რომელთანაც ახლო დამოკიდებულება მაქვს. ოფისში შევედი მეორე სართულიდან. მისაღებ ოთახში გაშლილი იყო სუფრა, რომელსაც უსხდნენ თამაზ კურტანიძე, მიხეილ სამსონაშვილი, „პანწკალა“ ხარაიშვილი. მგონი იყო ჯუმბერ საყვარელიძეც. სუფრასთან ჩემი მისვლისას უკვე კარგად იყვნენ შეზარხოშებულები... დაახლოებით ნახევარ საათში შემოვიდა ჩემთვის უცნობი პიროვნება. შემდგომ გავიგე, იგი ყოფილა ბატალიონ „თეთრი არწივის“ უფროსი ივერი მაღრაძე. შემოსვლისას თამაზ კურტანიძეს ჰკითხა: „ხომ არ იცი გიგა გელაშვილი სად არისო“. თამაზმა უპასუხა: ფეხბურთს უყურებს და მოვაო. ივერი მაღრაძეს თან შემოჰყვა 40 წლამდე ასაკის მამაკაცი, რომელსაც მე არ ვიცნობდი. მათი შემოსვლიდან ხუთ წუთში შემოვიდნენ ბაკურიანელი ედიკა აკოფიანი და ორი ახალგაზრდა გოგონა. ერთ-ერთ გოგონას ხელში ეჭირა ავტომატი. რაც შეეხება დანარჩენ მოსულებს, მე დავუნახე პატარა იარაღები, რომლებიც ქამარზე ჰქონდათ ჩამოკიდებული ბუდეებით... შემოსწრებულებს ეტყობოდათ, რომ უკვე კარგად ნასვამები იყვნენ. სუფრასთან შემოსწრებულთაგან ერთ-ერთი ბიჭი გავიდა და შემოიტანა ერთი ყუთი შამპანიური და მოშავო ფერის ყანწი, რის შემდეგაც მან მოითხოვა, რომ წინა დღეს იყო ივერი მაღრაძის დაბადების დღე და ეს ყანწი ყველას უნდა დაელია. ყანწი ყველამ დაცალა... ამის შემდეგ, ივერი მაღრაძემ დაიწყო უკმაყოფილო, გამომწვევი საუბარი იმის შესახებ, რომ ბორჯომს პატრონი არ ჰყავდა. კერძოდ, თქვა: „მხედრიონი“ ბორჯომს ვერ პატრონობს, მაგათი უთავმოყვარეო დედა ვატირეო“. ასეთ საუბარზე ივერი მაღრაძეს მიშა სამსონაშვილი გამოელაპარაკა და უთხრა: „შენ ბაკურიანს მიხედე, ბორჯომს ბორჯომელებიც მიხედავენო“. მე მინდოდა სიტუაციის განმუხტვა, რისთვისაც მიშას და ივერის ვთხოვე ერთმანეთისათვის თავი დაენებებინათ და დავშლილიყავით. მაგრამ ივერი მაღრაძემ ესეც საწყენად მიიღო და თქვა: „მე აქედან არსად არ წავალ, სანამ „მხედრიონის“ უფროსი არ მოვაო“. მიშას კი უთხრა: „შენ ადრე უნდა დამეჭირეო“. რას გულისხმობდა ამაში, ვერ გეტყვით. ამ კამათის დროს ერთხელ შემოიხედა თამაზ კურტანიძემ და იკითხა „რა ხდებაო“, რაზედაც მიშამ უპასუხა: „ეს შენი საქმე არ არის, ნუ ერევიო“. და თამაზიც გავიდა. მისი წასვლის შემდეგ კონფლიქტი კიდევ უფრო გამწვავდა. ერთ მომენტში მიშამ დააპირა გაცლა და კიბეებისაკენ გაემართა, მაგრამ ივერომ მას ხელი მოჰკიდა სახელოში და შემოაბრუნა. სწორედ ამ დროს გაისმა სამჯერ გასროლის ხმა... მიშამაც ამოიღო იარაღი და დაიწყო სროლა. მას რომ შევხედე ტანზე სისხლიანი იყო და მივხვდი, რომ იგი დაიჭრა. სროლის დაწყებისთანავე მეც ინსტიქტურად ამოვიღე ქამარში გარჭობილი „ჩზ“-ს სისტემის პისტოლეტი, გადავტენე, ხელი ვკარი ჩემს წინ მდგომ ედიკა აკოფიანს, რომელიც წაიქცა. როცა მარჯვნივ მოვიხედე, დავინახე ფეხები. ნერვიულობისაგან ვერ გავარჩიე და დავიწყე სროლა. ვესროლე ოთხჯერ-ხუთჯერ. შემდეგ დავიწყე ყვირილი „დაწექით-მეთქი“. ვისროდით მეც და მიშა სამსონაშვილიც. ეს ყველაფერი გაგრძელდა ერთ წუთამდე. როცა სროლა შეწყდა, დავინახე, რომ პირველი სართულიდან ამოსასვლელ კიბეებთან იდგა ჯუმბერ საყვარელიძე, მის უკან კიდევ იდგა ვიღაცა, მაგრამ ვინ, არ ვიცი. ჯ.საყვარელიძეს ხელში ეჭირა შემართული პისტოლეტი, რომელიც მიმართული იყო ივერი მაღრაძისა და მის თანმხლებლებისაკენ, რომლებიც უკვე იატაკზე იყვნენ დაყრილები. არ შემიძლია გითხრათ, ისინი მკვდრები იყვნენ, თუ დაჭრილები... შემდეგ დავინახე მიშა, რომელსაც ხელში ეჭირა ორი იარაღი. ერთი „ჩზ“, ხოლო მეორე „ნაგანის“ სისტემის. ჯუმბერს მხოლოდ „ჩზ“-ს სისტემის იარაღი ჰქონდა. გასისხლიანებული მიშა სამსონაშვილის დანახვაზე დავუყვირე, გავიდეთ-მეთქი... ჩავსვი ჩემს „ნივაში“ და მისი თხოვნითვე წავიყვანე სახლში. ჯუმბერ საყვარელიძე და სხვები დარჩნენ ოფისში. მიშა მივიყვანე სახლში, სადაც თვითონვე შევიდა, მე კი წამოვედი სახლში... გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ჩავედი საავადმყოფოში, სადაც დამხვდნენ თამაზ კურტანიძე, მიშას დედა, მეუღლე და ძმები. მიშა უკვე საოპერაციოში შეჰყავდათ. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩავიარე ოფისთან, მაგრამ შიგნით არ შევსულვარ. ოფისთან იდგა „უაზის“ მარკის მანქანა. ახლოს არ მივსულვარ. წავედი სახლში. ერთი კვირით საერთოდ წამოვედი ბორჯომიდან. როცა გავიგე, რომ ყველაფერი მიჩუმებული იყო და ამ ამბით არავინ დაინტერესებულა, გავთამამდი და ჩავედი ბორჯომში. შევხვდი ჯუმბერ საყვარელიძეს, რომელსაც ვკითხე თუ რა უყვეს დახოცილებს. მან მიპასუხა, რომ მან და სხვებმა გვამები ჩაყარეს „საქმშენტრანსის“ მიტოვებულ ეზოში არსებულ ავზებში, რომლებშიც შემდგომში ხრეში ჩაუყრიათ.

კითხვაზე გიპასუხებთ, რომ 1994 წლის სექტემბერში, გვიან ღამით ჩემთან სახლში მოვიდა გიგა გელაშვილი. მან მითხრა, ცემაში კაცი შემომაკვდა, სასწრაფოდ უნდა წავიდე და შენ უნდა დამარხო სადმეო. გვამი იყო საბარგულში. გადავდეთ გვამი ჩემი მანქანის საბარგულში... გვამი წავიღე მარტო მე, ბორჯომ-ბაკურიანის ტრასაზე ტყეში გავთხარე ორმო და დავმარხე გვამი...

**მოამზადა**
**გუგაზ მეგრელიძემ**

# იყიდე – გაყიდე, – ქარვასლაა?

**ეს მტკივნეული** წერილი ეხება ერთ დროს განიქმული ბორჯომის ფიზიკო-სამკურნალო შენობის ირგვლივ ატეხილ დავას.

ყველა ბორჯომელის (და არამარტო მათი) სურვილი და ოცნება ბორჯომი იხილონ მხოლოდ ძნიშვნელობის კურორტად, მაგრამ, სამწუხაროდ, უკანასკნელი პერიოდის მოვლენები ამის საფუძველს არ იძლევა.

იყო დრო, როდესაც ბევრს შეეძლო ეთქვა ბორჯომისათვის „სნეული დაბრუნებულვარ, მკურნალად შემეყარეო“. ახლა კი ბორჯომი თვითონ არის სამკურნალო, მასაც დაპატრონებია „მომხმარებლის ხელი“, რომელიც სარფის, ძოგების თვალით უყურებს ყველას და ყველაფერს. იგი არად დაგიდევს ამა თუ იმ ღირშესანიშნაობის ისტორიულ და სამკურნალო დანიშნულებას.

ბორჯომის ფიზიკო-სამკურნალოს ყოფილმა ხელმძღვანელობამ დიდი შეცდომა დაუშვა, როცა სუბ დართო ფიზიკო-სამკურნალოს ბაზაზე გახსნილიყო ბორჯომის მინერალური წყლის ჩამოსხმელი საამქრო. ცნობილია ისიც, რომ საფუძულის საკურორტო სეზონზე იკრძალებოდა პარკში მსუბუქი ტრანსპორტის მოძრაობა. ზემოთ აღნიშნულმა ჩამოსხმელმა საამქრომ თუ გაგრძელა ფუნქციონირება, მსუბუქ მანქანას ვიღა დაეძებს, მინერალური წყლის გადასატანად მძიმეტონიანი მანქანების გუთავებელი მოძრაობა იქნება საჭირო.

კურორტის მომავალზე თუ ვიფიქრებთ, ყოველად დაუშვებელი იქნება დასვენების ზონაში, ფიზიკო-სამკურნალოს შენობაში მოქმედებდეს მინერალური წყლის ჩამოსხმელი საამქრო. ამასთან ერთად მინერალური წყლის საბადოს ბარბაროსულმა ექსპლოატაციამ მინერალური წყლის ფიზიკო-ქიმიური შემადგენლობის საგრძნობი ცვლილებებიც გამოიწვია.

ყველა ამ საკითხთან ერთად საქართველოს პროფკავშირთა კურორტების რესპუბლიკური საბჭოს კოლეგიის მიერ დღის წესრიგში დადგა ალღერა-ფიზიკა სამკურნალოს გაყიდვის საკითხი. ახალუბანში უკვე გაიყიდა აქ არსებული ახალი საკურორტო პოლიკლინიკა. დაპირება, რომ ააშენებენ ახალ ფიზიკო-სამკურნალო ობიექტს, აბსურდია და გაცლებით ძვირი დაჯდება, ვიდრე ამჟამად არსებულის აღდგენა-ამოქმედება.

რაც შეეხება თვითონ შენობას, აგებულია 1875 წელს. 1926 წლიდან პირველად საქართველოს კურორტების არსებობის ისტორიაში, ამ შენობაში განთავსდა ბალნეო-ფიზიო სამკურნალო. შენობა აღიცხულია ძეგლთა დაცვის საქართველოს მიერ და შეტანილია არქიტექტურული ძეგლების სიაში.

ახლა კი სურთ ბორჯომის ეს ნატურისთვალივით კუთხე უნიკალური ლანდშაფტით, მიკროკლიმატით, უხვი, მინერალური წყაროებით და სამკურნალო დანესებულებებით, სამრეწველო ზონად გადააქციონ სარფს გამოღვაცებულმა „ინტერესებმა“ და „ინაკიჩებმა“.

საინტერესოა, რას ფიქრობს ამ საკითხთან დაკავშირებით ბორჯომის რაიონის გამგებელი და რაიონის ხელმძღვანელობა (ანდა ფიქრობენ კი საერთოდ?)

იაპონელები ნაგასაყრელებზე აშენებენ მშვენიერ ბაღებსა და დასასვენებელ პარკებს. ჩვენ კი აშენებულის ღანგრევა უფრო გვიყვარხება და ისიც არ გვინდა, რომ თავი შევიკუნოთ რთული მდგომარეობიდან გამოსავლის მოსანახავად. ჩამოსახმელ-გადამსახმელ საამქროსთვის შეიძლება შენობის გამონახვა, მაგრამ იმ ფასეულის დაკარგვა, რასაც საკურნალო-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ჰქვია – არაფრით არ შეიძლება. ეს უძველესი სამედიცინო დაწესებულება კურორტის სიამაყე იყო მუდამ. ძნელი სიკეთით უსარგებლიათ არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულებს.

ბალნეო-ფიზიო სამკურნალოს გადაკეთება ჩამოსახმელ საამქროდ რამდენიმე კაცის გასამდიდრებლად კეთდება, ადამიანთა ჯანმრთელობაზე კი არავინ ფიქრობს. არც იმაზე უფიქრიათ მავანთ და მავანთ, რომ შეიძლება მათ ან მათ ახლობლებს დასჭირდეთ ხსენებულ დაწესებულებაში მკურნალობა?

აი მაშინ კი თითზე კბენანი გვიან იქნება!

რაიონის ინტელიგენცია, როგორც იტყვიან, ფეხზე დგას, რათა აღსანიშნული შენობა გადარჩინონ. ვნახოთ, გაძიბერტყავენ თუ არა ყურებს ისინი, ვისაც ამ პრობლემის (ძალიან შექმნილის) მოგვარება ევალებათ.

**ხათუნა აბაზაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ურჩხულის“ ნადირობა არასრულწლოვან გოგონებზე

ერთ - ერთი მსხვერპლი — კრავეიშვილი

**„ურჩხული“** მარტო არ მოქმედებდა: მისი უკანასკნელი ბოროტმოქმედებიდან თერთმეტი წლის შემდეგ დააპატიმრეს თანამონაწილე. იმავე დღეს სასამართლომ მიიღო მოულოდნელი გადაწყვეტილება — მან გამართლა პიეტრო პაჩანი, რომელსაც პირველი ინსტანციის სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. ხუთსაათიანი დებატების შემდეგ, ნაფიცმა მსაჯულებმა მიიჩნიეს, რომ პაჩანის „არ ჩაუდენია ეს მკვლელობანი“. პაჩანის ბრალად ედებოდა, რომ მან სიცოცხლეს გამოასალმა თექვსმეტი ადამიანი. ბრალდებულის გამართლება დაემთხვა იმ დროს, როდესაც პროკურატურამ კიდევ ოთხი ახალი მოწმის ჩვენება მიიღო. ისინი პაჩანის და მის ბავშვობის მეგობარს მარიო ვანის ამხელენ ფრანგი ტურისტების ნადინ მორიოსა და ჟან-მიშელ კრავეიშვილის მკვლელობაში. ფრანგი წყვილი მხეცურად მოკლეს ფლორენციასთან ახლოს, ტურისტულ კარავში, 1985 წელს.

ამრიგად, პაჩანის ყველა ბრალდება მოეხსნა და იგი ჩვეულ ცხოვრებას უბრუნდება. მაგრამ ძიება გრძელდება და პაჩანის დიდი ხნის უზრუნველი არსებობა არ უწერია. საოცარი ის არის, რომ ბოროტმოქმედს უამრავი ნებაყოფლობითი დამცველი გამოუჩნდა. ადამიანს, რომელმაც უკვე ერთხელ მოიხადა სასჯელი მკვლელობისა და საკუთარი ორი ქალიშვილის გაუპატიურებისთვის, უამრავი თანაგრძნობის წერილი მოსდის. სასამართლო პროცესზე პაჩანიმ უამრავი ცრემლი დაღვარა, უვნებელ კრავად მოაჩვენა თავი დამსწრეთ და მათი სიმპათიები დაიმსახურა. „მე მსხვერპლი ვარ და არა ჯალათი — განაცხადა მან, — ერთი უბრალო გლეხი გახლავართ. ვინც ჩემზე ამბობს ურჩხულიაო, თვით არის ურჩხულიც და ბოროტმოქმედიც. ბავშვობიდანვე მიწას ვამუშავებ და კარგად ვიცი, რა არის სიღარიბე. ჩემს ქალიშვილებს რაც შეეხება, მე მათ ყოველდღე ხმამაღლა ვუკითხავდი სახარებას“. ამას აცხადებს ადამიანი, რომელმაც გულცივად მოჰკლა საკუთარი საცოლე და საცოლის მეგობარი ახალგაზრდა კაცი. მან 18 ჭრილობა მიაყენა ქალს და მარცხენა მკერდი მოკვეთა. საპატიმროში პაჩანიმ 1500 წერილი მიიღო, რომლის ავტორები თხოვდნენ „ურჩხულს“ ფარ-ხმალი არ დაეყარა სასამართლოს წინაშე. „ძვირფასო ურჩხულო, მე შენი მჯერა“; „არ დაუშვა, რომ სიკვდილი მოგისაჯონ, დაიცავი თავი, ჩვენ შენთან ვართ!“, „ურჩხულო, შენ უდანაშაულო ხარ, იცოდე ეს!“ — აი, ამ წერილების პათოსი. აი, ასე იქცა პატარა გოგონების მოძალადე იტალიური პრესის ვარსკვლავად.

იუსტიციის სამინისტრომ საქმის გადასინჯვა და დამატებითი გამოძიება მოითხოვა. ამ გადაწყვეტილებამ შეაცბუნა ბრალმდებლები. განაჩენის გამოტანისას, ერთ-ერთი მსხვერპლის მამას დარბაზში გული შეუღონდა. „ყოველივე ეს ხდება მაშინ, როდესაც გამოძიებამ ახალი სამხილები მოიპოვა“ — აცხადებს ერთ-ერთი ვექილი. საქმე ეხება პაჩანის თანამონაწილეს, ყოფილ ფოსტალიონ მარიო ვანის, ურჩხულის მეგობარს და თანამეინახეს. ჩვეულებისაებრ, მეგობრები საღამო ხანს უსაფრთდებოდნენ თავიანთ მსხვერპლს, განმარტოებულ ადგილებს დანატრებულ შეყვარებულ წყვილებს. ოთხი ახალი მოწმიდან ორი თვითმხილველი იყო ბოლო ტრაგედიისა, რომელმაც ორი ფრანგი ახალგაზრდა შეიწირა. იმ საღამოს, დაახლოებით შუაღამისას, ისინი თავს წაადგნენ პაჩანის და ვანის, რომლებიც, ბუჩქებს ამოფარებულნი, თვალყურს ადევნებდენ შეყვარებულ წყვილს. პაჩანიმ მათ უბრძანა წამსვე გასცლოდნენ ადგილს, მაგრამ მოწმენი შორს არ წასულან. ისინი ამტკიცებენ, რომ საკუთარი თვალით იხილეს, თუ როგორ გაჭრა ვანიმ კარვის კალთა თავისი დიდი დანით. ნადინი განწირული ხმით კიოდა. ჟან მიშელი, ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა, შიშველი გამოვარდა კარვიდან. პაჩანმა მას რევოლვერი დაახალა და მერე ქალიშვილს მიუბრუნდა. ქალიშვილის გვამზე საშინელი ძალადობის კვალი აღმოაჩინეს. ეს ვანის ნამოქმედარია. ვანი დანისა და მეძავი ქალების მოყვარული იყო. ეს მკვლელების უკანასკნელი ბოროტმოქმედება აღმოჩნდა. 17 წლის განმავლობაში რვა წყვილმა ჰპოვა საშინელი აღსასრული ფლორენციის წარმტაცი ბუნების წიაღში. ყველა შემთხვევაში ხელწერა ერთი და იგივეა. ურჩხულს თავისი ტექნიკა ჰქონდა: იგი ჭრიდა კარავს, მსხვერპლს რევოლვერით ჰკლავდა და შემდეგ გვამებს დანით ფატრავდა. საქმეს რომ მოითავებდა, სამახსოვროდ ქალიშვილების მარცხენა მკერდი მიჰქონდა თან. მკვლელები კვალს არ ტოვებდნენ და უმნიშვნელო შეცდომასაც არ უშვებდნენ. ამიტომ იყო, რომ მათი ვინაობის დადგენა ესოდენ ძნელი საქმე აღმოჩნდა.

მთელი ფლორენცია პანიკამ მოიცვა. პროკურატურა აფრთხილებდა ახალგაზრდებს არ ესეირნათ საღამო ხანს მახლობელ ტყეებში. დღეს კი ფლორენციელი ურჩხული ისევ თავის სახლშია და ბუზღუნით ხვდება ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს. და მაინც, რაშია ამ საქმის მთელი იდუმალება? ურჩხული დღესაც გამოცანად რჩება. რატომ დასჭიდა ამდენი დრო პოლიციას დამნაშავის დასადგენად? რატომ გაანთავისუფლეს იგი?

საქმე ის არის, რომ გამოძიებამ არ გაითვალისწინა განწყობა, რომელიც პაჩანის მშობლიურ სოფელში სუფევს. მარკატალე მეღვინეებისა და წვრილი ხელოვნების სოფელია, წყნარი და მორიდებული ადამიანებით დასახლებული. „ყოველი ჩვენთაგანი საკუთარი საქმითაა დაკავებული, — ამბობს ერთი იქაური მაცხოვრებელი — პაჩანის საქმის გასარჩევად არავის სცალია და მერე კიდევ ერთიც უნდა იცოდეთ, პაჩანი აქაური არ გახლავთ, იგი სხვა სოფელში დაიბადა და ასეც რომ არ იყოს, მკვლელობები ჩვენი სოფლის მიდამოებში არ მომხდარა“. მარკატალეს წლების მანძილზე კომუნისტები მართავდნენ. ამიტომაც სოფელს „მცირე რუსეთს“ უწოდებდნენ. სოფლის მაცხოვრებელთა 60% კომუნისტებს აძლევდა ხმებს. სოფელი ერთ მუშტადაა შეკრული და ერთგულად იცავს ცნობილი omerta-ს (დუმილი) კანონს. ამას „მოსამართლეთა ომიც“ დაერთო. ეს იტალიური სენია: მართლმსაჯულების მსახურნი ერთმანეთს ეჭიშპებიან. ფლორენციელი ვერ იტანს მილანელს, ეს უკანასკნელი კი რომაელს უდგება ჯიბრში. ძაღლის თავიც აქ მარხია: ვიღაცამ არჩია მსჯავრს აერიდებინა საშიში დამნაშავე და ამით გზა გადაეკეტა კოლეგის კარიერისთვის.

პაჩანის საქმის ძიება გრძელდება. მაგრამ ახლა უშუალოდ მას კი არ სდევენ ბრალს, არამედ მის თანამონაწილეებს. ვანისთან ერთად კიდევ ორნი „გადიან საქმეში“. „ჩვენ აღმოვაჩინეთ კარგად ორგანიზებული და შეკრული ჯგუფი, რომელიც თავისი საკუთარი წესებით და რიტუალებით მოქმედებდა. მკვლელობათა დინამიკა აშკარა გახდა“. ეს ადამიანები დღისით ერთ სუფრას უსხდნენ, საღამოობით კი „სანადიროდ“ გადიოდნენ. „სამხრობის ძმაკაცები“ — ასე უწოდებენ დღეს მკვლელების ამ კლუბს. ძმაკაცებმა ფიცი დადეს, რომ საქმეს არ უღალატებდნენ და ერთმანეთის შესახებ, „ჩავარდნის“ შემთხვევაში კრინტს არ დაძრავდნენ. მხოლოდ ცოტა ხნის წინ, 13 მარტს, ამოიდგა ენა ჯანკარლო ლოტიმ, რომელიც მკვლელობის დროს გუშაგის როლს ასრულებდა. იგი ორი მკვლელობის თანამონაწილეა. „რაიმე რომ წამომცდენოდა, მომკლავდნენ“ — აღიარა მან. მთავარ როლებს სამი კაცი თამაშობდა: მკვლელი პაჩანი, გუშაგი ლოტი და „გვამების აჩეხვის“ დიდოსტატი ვანი. ჯგუფის მეოთხე წევრი, როგორც ძიებამ დაადგინა, იარაღით ამარაგებდა მკვლელებს. იგი ყოფილი კარაბინიერია. საქმეს რომ მოპთავებდნენ, მკვლელები მდინარეში ბანაობდნენ და სოფლის კაფეში მიდიოდნენ „ერთი ყლუპის დასალევად“. „იგი არასოდეს იგვიანებდა, 11 საათზე თითქმის მუდამ საწოლში იყო“ — ამბობს პაჩანის მეუღლე, რომელმაც კარგა ხანია დატოვა ქმარი.



მარკატალეს მაცხოვრებელნი თვალებს იბრმავებენ და ყურებს იხშობენ. მათ არ სურთ იმის გაფიქრებაც კი, რომ სწორედ თანასოფლელთა გულგრილობა იყო ის მაცოცხლებელი გარემოცვა, რომელმაც საბოლოო ჯამში საშუალება მისცა „ურჩხულთა ოთხეულს“ წლების განმავლობაში ებოგინა დაუსჯელად. მაგრამ სურთ თუ არა სოფლელებს ამის აღიარება, ჭეშმარიტება ერთია — ქიანტისა და კომუნისტების „მწარმოებელი“ სოფელი „ურჩხულის ბუდედ“ მოინათლა. ოცი წლის წინ სიცილიელი მწერალი ლეონარდო სკაჩია წერდა: „გაფრთხილდით, მაფია და მასთან ერთად ბოროტება ყოველ წელს 50 მეტრით წინ იწევს“. სკაჩიას ციფრი შეეშალა, 50 მეტრის ნაცვლად 50 კილომეტრი უნდა ეთქვა. მაფიის ჩრდილი ფლორენციიდან 25 კილომეტრზე მდებარე „წყნარი და სერიოზული ადამიანებით“ დასახლებულ სოფელს გადაეფარა.

(„მონდი“: „ნოველ ობსერვატორი“.)

ფრანგულიდან თარგმნა

**გიორგი ეკიზაშვილმა**

# აბიტურიენტებისა და მე-11 კლასელთათვის

გაგრძელება დას. იხ. „საქართველო“ №21, 22

## ARSEBULI, როგორც შესაძლებლის კარიკატურა

## დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ (განხილვა)

ნოდარ გრიგალაშვილი

დავით კლდიაშვილი რეალისტი მწერალია, მან სინამდვილე ასახა. ასახა იუმორით, გროტესკით, სატირით, იმავდროულად წერს: ჩემი გმირებისთვის არასოდეს დამიცინიაო. მართლაც, დავითს უყვარს თავისი გაწამებული, კუდაბზიკა და იმავდროულად გასაცოდავებული პერსონაჟები, ამიტომ არის მის თხზულებებში სიცილთან ერთად ცრემლი, კომიკურის გვერდით ტრაგიკული, ანთუ პირიქით. არადა, როგორ ეთავსება ერთმანეთს ერთსა და იმავე პერსონაჟისადმი სატირული დამოკიდებულება და თანალმობა? საქმე ის არის, რომ თვით ის სინამდვილეა გროტესკული, თვით ის ცხოვრებაა ნამდვილი ცხოვრების კარიკატურა, რომელიც დავითმა დაგვიხატა. ცხოვრება როგორიც იყო და ნაწილობრივ დღესაც არის სინამდვილეში.

ადამიანთა არსებობა ცისქვეშეთში არ გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ ვჭამოთ, ვსვათ, შვილები გავაჩინოთ და როცა დრო მოვა, აქედან ავიბარგოთ. ადამიანები სხვა სულიერთაგან განსხვავებით მხოლოდ ბიოლოგიური არსებანი არ არიან. არადა, სწორედ ის მისია აღარ გაანინაათ კლდიაშვილის გმირებს, რომლითაც ადამიანი სხვა ცოცხალ არსებათაგან განსხვავდება. ამიტომაც, ადამიანი ადამიანის, ხოლო ცხოვრება ცხოვრების კარიკატურად ქცეულა. ხოლო კლდიაშვილის გმირები იმდენად არიან საცოდავნი და თანალმობის ღირსნი, რამდენადაც მათ „მხამზარეულად“ დახვდათ ასეთი ყოფა და ხშირად მათი თავგანწირული შრომაც კი ვეღარაფერს ცვლის... სხვათაშორის, პირველი ხარი, რომ ეს ასე მოხდებოდა, ილია ჭავჭავაძემ ჩამორეკა. მას შემდეგ, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაკარგა და ერთ დროს ქვეყნის თავისუფლების დამცველ თავადაზნაურობას საკუთარ სტომაქზე ზრუნვის „მისიადა“ დარჩა, გაჩნდა თათქარიძეობის სენი. ილიას მკვახე შეძახილმა, სამწუხაროდ, ვერ გამოიღო შედეგი. ჯერ თავის ჯამს ჩამაცქერალი, ფუნქციადაკარგული, (კუჭის ფუნქციას არ ვგულისხმობ), ლუარსაბ თათქარიძის უარყოფითი იდეალის მაგალითი მივიღეთ იდეალური ავთანდილის მაგალითის ნაცვლად, შემდეგ კი თათქარიძეობის მეტასტაზების განვრცობით, ნამდვილი ცხოვრების წილ, ნამდვილი ცხოვრების კარიკატურაღა შეგვრჩა.

კლდიაშვილის გმირები არსებითად მისიადაკარგული თათქარიძის შთამომავალნი არიან, იმ განსხვავებით, რომ ახალმა დრომ კუჭის ფუნქციის გაოვალისწინებით, მათგან ფიზიკური შრომა მოითხოვა, სხვა ფუნქცია, როგორც ვთქვი, მათ არ გააჩნიათ. სწორედ ამ აზრით არის კლდიაშვილის მიერ ასახული ცხოვრება ნამდვილი ცხოვრების კარიკატურა.

სწორედ ამიტომ არის გაძევებული დავითის პერსონაჟთა ცხოვრებიდან ყველაფერი ის, რაც ერთ დროს გააჩნდა ადამიანს, არა მხოლოდ როგორც ბიოლოგიურ, არამედ როგორც ღვთაებრივ არსებას.

გაძევებულია სიყვარული;

გაძევებულია მოყვასისათვის თანადგომის ბუნებრივი სურვილი;

გაძევებულია სიახლის, უკეთესის ძიების გრძნობა;

გაძევებულია საერთო ბედნიერების შეგნების უნარი.

ამასთან, კლდიაშვილის სამყაროში პირველიც გვხვდება, მეორეც, მესამეც და მეოთხეც. ოღონდ ნამდვილის კარიკატურული, გროტესკული ფორმით. როგორც ვთქვით, აქ ყველაფერი თავდაყირა დგას. თავდაყირა დგას იმავე მიზეზით, რა მიზეზზედაც ილიამ თათქარიძეობასთან მიმართებაში გაუსვა ხაზი: ადამიანები ჭამენ-სვამენ, ხორცზე ზრუნავენ, არა იმიტომ, რომ იცხოვრონ, არამედ ცხოვრობენ, რათა ჭამონ და სვან, ანუ მათი ყოფიერების საზრისს წარმოადგენს არა ცხოვრება, არამედ არსებობა. ცალ-ცალკე გამოვყოთ თითოეული თემა.

## სიყვარულის კარიკატურული არსი

კი, სიყვარული გაძევებულია დავითის პერსონაჟთა ცხოვრებიდან. თქვენ ვერ ნახავთ მის თხზულებებში ამურის ისრით დაჭრილ ქალ-ვაჟთა ორთოლვასა და ჩურჩულს. სიყვარული მხოლოდ გარიგების, აღებ-მიცემობის, ქალის ოჯახისათვის კუდის რიკამდე გატყავების, ვაჟის ოჯახისთვის კი ქონების შეძენის საშუალებად ქცეულა. თუმცა „სამანიშვილის დედინაცვალში“ ისეთი სიუჟეტია გამოყენებული, რომ არა მისი კარიკატურული ფორმა და არსი, შუა საუკუნეების საგმირო-სატრფიალო რომანები გაგახსენდებოდათ.

როგორია კლასიკური მოდელი სატრფიალო რომანებისა?

ვაჟი, ბედაურზე ამხედრებული, მიდის სატრფოს საძებნელად და გზადაგზა საგმირო ამბებს ჩადის. ბოლოს პოულობს თავის გულისწორს, მრავალფათერაკგამოვლილი გამოიტაცებს სატრფოს და შემოიქცევა შინ.

ეს ყველაფერი „სამანიშვილის დედინაცვალშიც“ არის, ოღონდ, ვიმეორებ, საოცრად გროტესკული ფორმით და არსით. რაც მთავარია, მწერალი ამ ფორმას შეგნებულად კი არ მიმართავს სასიყვარულო თავგადასავლების კლასიკური მოდელის ირონიზირების მიზნით, როგორც ეს სერვანტესის „დონ კიხოტშია“, არამედ თვით ცხოვრება, კარიკატურული სინამდვილე სთავაზობს ფათერაკიანი თავგადასავლების სასაცილო და გროტესკულ სიუჟეტს.

პლატონიც „ბედაურზე“ ამხედრებული გამოდის შინიდან. ოღონდ სანახევროდ ეს „ბედაური“ მიაჩაქჩაკებს გამწარებით მხედარს, სანახევროდ კი მხედარი მიათრევს წყევლა-კრულვით თავის „რაშს“...

პლატონს უანგარო დახმარებას სთავაზობს კირილე მამინოშვილი, ისე როგორც ტარიელს ავთანდილი, იმ განსხვავებით, რომ ტარიელი და ავთანდილი ფათერაკიან გზაზე მტერს ავლებენ მუსრს, კირილე და პლატონიც, „რაღა თქმა უნდა“, ოღონდ მეორე დღეს კარგა ნაბეგვნი და ჩოხაშემოფხრეწილნი იღვიძებენ და ირკვევა, რომ უაზრო გაწევ-გამოწევასა და დავიდარაბაში შეცდომით ერთმანეთისთვისაც უთავაზებიათ ლაზათიანად მუშტები (?) ეს ჩვენი გაჭირვებულებიც ქალს ეძებენ, ოღონდ ბერიკაციისათვის მისაგვრელ უშვილძირო ბებრუხანას...

ამათი „ოცნების ქალიც“ გამოსატაცებელია, ოღონდ ყამარის კოშკიდან ან ქაჯეთის ციხიდან კი არა, შიმშილით მისავათებული ბრეგაძეების ფარღალალა ქოხიდან, რომელთაც ერთი სული აქვთ, იქნებ ზედმეტად სარჩენი დედინაცვალი გამოაკლდეს მათ საერთო სალაფავს...

ახლა ისიც გაიხსენეთ, პლატონი თავის საიდუმლოს (ხამს მიჯნური ხვაშიადსა არავისთან ამყლავნებდეს) რა გაჭირვებით ამოუღერღავს არისტო ქვაშავიძეს... ერთი სიტყვით, „ყველაფერი“ აქაც ისეა, როგორც საგმირო-სატრფიალო რომანებში, ანუ მთელი კურიოზულობა პლატონის საგასი უფრო თვალსაჩინოა ამ სატრფიალო-სარაინდო რომანებს კონტრასტის ფონზე.

ფათერაკები, დავიდარაბა, ბეკინას საცოლეს გამოხდება. ცნობა ამ ქალის შესახებ თხზულების დასაწყისშივე გაიელვებს. პლატონს დამგზავრებული პირველივე კაცი, ივანე გვერდევანიძე, სწორედ ამ ქალს ახსენებს. მერე და მერე ისევ ამ ქალის სახელი გაიელვებს. მოკლედ, ქალი არა ჩანს, მის გამო კი, მის ძებნაში, მთელი ოდისეის მოწშენი ვხდებით და რადგან ოდისეა ვახსენეთ, კიდევ ერთ კურიოზსაც გავუსვათ ხაზი, — არ ვიცი შეგნებულად გააკეთა ეს დავითმა, თუ შემთხვევითობაა — იმ დედაბერს, რომლის ძიებაში სათავგადასავლო საგას მოწშენი გავხდით, ელენე ჰქვია. ის პირმშვენიერი ასულიც, ტროას ომისა და ჰომეროსის გმირების ფათერაკიანი თავგადასავლების მიზეზი რომ გახდა, ელენე იყო... ამ ორი ელენეს გვერდიგვერდ ხსენებით კი კიდევ ერთხელ შეიძლება დავასკვნათ: კლდიაშვილის სინამდვილე თავისი პერსონაჟებითურთ მართლაც ნამდვილი ცხოვრებისა და ვნებების კარიკატურული გამოვლინებაა. ტრაგიზმი თავისთავად უკვე ამ ფაქტშია გამოხატული...

## მოყვასის ცრუ სიყვარული

როდესაც დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა ცხოვრების უკუღმართ წესზე ვლაპარაკობთ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ არ იციან, როგორია ცხოვრების წაღმართი წესი.

თეორიულად მათ მშვენივრად უწყიან, რომ უნდა გიყვარდეს მოყვასი შენი. კურიოზიც და მათი შინაგანი ტრაგიზმიც სწორედ იმაშია გამოხატული, რომ ვერ ახერხებენ ცხოვრობდნენ ისე, როგორც ბუნებრივია ადამიანისათვის, იმავდროულად კი, თავს ისე წარმოგვიდგენენ, თითქოს სწორედ ბუნებრივი, კეთილშობილი გრძნობებითა და ვნებებით ცხოვრობენ...

ნახეთ როგორ უყვართ მამა, ნათესავი, მეზობელი, საერთოდ ადამიანი. „სამანიშვილის დედინაცვალის“ გმირებს:

დედის გარდაცვალების შემდეგ პლატონმა და მისმა მეუღლეს „გაორკეცეს მოხუცებული მამის პატივისცემა და მოვლა; ორივენი გაფაციცებით თავს დასტრიალებდნენ დაქვრივებულ ბეკინას და თავგამოდებით ემსახურებოდნენ, თვალში შეჰყურებდნენ, რომ ყოველ მის სურვილსა და საწადელს მისგან გამოთქმამდის მიმხვდარიყვნენ და იმწამსვე აესრულებინათ“.

აქ მოხუცი მამისადმი სიყვარულის გულისამაჩუყებელი სურათია გადმოცემული.

როცა კირილე შეიტყობს, თუ რა საქმეზე მიადგა მას პლატონი, მყის მზაობა გამოამჟღავნა თანადგომისათვის:

„მეც შენთან ვარ მძებნელი, როგორც კაცი! ძმობას გეფიცები, არაფრის გულისთვის არ დაგშორდები!“

აქ სიძე-ცოლისძმის ერთობა მოგხიბლავთ.

„პლატონ, სატირალში არ მივიდეთ?“ — ესეც კირილეა, სხვისი ჭირიც რომ ახსოვს თავის გზაზე მიმავალს...

არისტო ქვაშავიძემ პლატონის მოგზაურობის მიზეზი რომ გაიგო, პირდაპირ მოყვასისთვის თავგადადებულ რაინდად იქცა და უანგაროდ სთავაზობს სამსახურს პატიოსანი კაცი, როგორც პატიოსან კაცს:

„პირველი შეხედვიდანვე ჩემი გული მოიგე და ამიტომ განვიზრახე შენთან დამოყვრება, დანათესავება“-ო, უცხადებს.

ახლა ამ მოყვასის სიყვარულით „დამდნარი“ ხალხის საქციელის ნამდვილი მოტივები გავიხსენოთ:

პლატონი და მელანო იმიტომ ევლებიან თავს მოხუც ბეკინას, რომ ამ უკანასკნელმა ცოლის მოყვანა არ გაივლოს გულში!

კირილე ერთობის გამო კი არა, ღვინისა და გართობის საძიებლად მიჰყვება სინამდვილეში სიძეს.

სატირალშიც, ცხადია, „ქელეხის ხათრით“ უნდა წასვლა და არა ცრემლების საღვარღვალოდ.

ამ შერჩენებულ არისტო ქვაშავიძეს კი მამიდის გათხოვება და სამანიშვილების დამოყვრება ერთადერთი მიზნით სურს, როგორმე საქვრივო წაართვას ამის გარეშეც დაქცეულ ქვედურეთელ ბრეგაძეებს.

ასე რომ, დავითის გმირებში მოყვასის სიყვარულის წაღმართი გრძნობაც უკუღმართი ვნებებითაა შეცვლილი.

გაგრძელება იქნება

# ანტისტალინისტი სტალინი?..

**ჩვენში** დამკვიდრებული საუცხოო პრაქტიკის შესაბამისად სტალინისტების საზოგადოებაც ორია და ამ კაცის სახელობის გაზეთიც. ერთი მათგანის, გაზეთ „სტალინელისა“ და მისი გამომცემელი სტალინისტების საზოგადოების რაობაზე ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა. როგორც მკითხველს ახსოვს, ისინი აპირებენ ბურჟუაზიული აზრების მატარებელი თანამემამულეების ცეცხლითა და მახვილით განადგურებას და დღესვე სსრკს აღადგენს. უფრო საინტერესო „მასტები“ ჩანან №2 სტალინის საზოგადოებისა და სტალინური კომუნისტური პარტიის (ე.ი. №3 კომუნისტური პარტიის!) მესვეურები. შეცვლილ ვითარებათა გამო ისინი ამჟამად, ასე თათარაიხნად, შეუძლებლად მიიჩნევენ დიდი და ჭეშმარიტი სამშობლოს — სტალინური სსრეკას აღდგენას (მაინც, მადლობა ღმერთს!), მაგრამ სანაცვლოდ მოითხოვენ „რელატიური სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის“ (!!!) მქონე საქართველოში, პატარა საშობლოში, სტალინური მართვა-გამგეობის დანერგვას! ოღონდ ნუ შეშინდებით, გულები საგულეს იქონიეთ, ძვირფასო მკითხველებო, თქვენ გელით სასიამოვნო სიურპრიზი: „საერთაშორისო საზოგადოება სტალინის“, „სტალინური კომუნისტური პარტიისა“ და გაზეთ „სტალინის“ სტალინი არის ნამდვილი... ანტისტალინი! ბოდიში, — კარგი, კეთილი ძია სტალინი. იგი, უწინარეს ყოვლისა, არის უდიდესი მამულიშვილი (სულ საქართველოზე ზრუნავს და ფიქრობს!!!), დიდი ჰუმანისტი, რეპრესიების სასტიკი მოწინააღმდეგე, ღრმა მორწმუნე და ღვთისმშობელი, თავმდაბალი, ნაზი და გულჩვილი!

— ვაშა და დიდება დიდ სტალინს და ნეოსტალინისტებს! — გვინდოდა გვეყვირა ამ ახალი კონცეფციის გაცნობისას, ზეჭარბი დემაგოგიის მწარე კვამლს რომ არ დაეწვა ჩვენთვის ყელი და თვალები...

დანარჩენი იხილეთ ჩვენი ავტორის ქვემორე წერილში.

# წითელი აუცილებლობა თუ წითლების მოუცილებლობა?!

## ანუ ისევ «წითელი ჭირისა» გამო

**ამ რამოდენიმე** დღის წინ ჩემმა ძველმა მეგობარმა მომიტანა გაზეთი „სტალინი“ (9/VIII–95), სადაც თურმე გასულ ზაფხულს დაუბეჭდავთ ჩემს ხსენებულ წერილზე კორნელი ქვათაძის გამოხმაურება სათაურით „შეგნებული აუცილებლობის შეცნობა და არა უპასუხისმგებლობა და თვითნებობა“.

მკითხველს ეხსომება სხვა სტალინისტების გაზეთ „სტალინელში“ გამოქვეყნებული გამოხმაურება ჩემს იმავე წერილზე და ჩემი პასუხიც (გაზ. „საქართველო“, №1442).

ესეც მეორე გამოხმაურება, ოღონდ სულ სხვა სტილისა და სხვა ტაქტიკური მიზანდასახულობისა.

ჩავვარდი საგონებელში!..

აქ უკვე აღარ მაგინებენ, ქვებს არ მესვრიან. ის კი არა, თავისებურად მაქებენ კიდეც — ფილოსოფიაში, ჩანს, ერკვევი და პოლიტიკაშიც რაღაც გაგეგებაო — და ამ ფონზე მმოძღვრავენ და მანამუსებენ: — შე კი კაცო, აბა როგორ არ გიყვარს კეთილი ძია სტალინი, სიყვარულსაც თავი დავანებოთ, მაინც ემოციაა, საკითხს წმინდა პოლიტიკური, პრაგმატული კუთხით მიკუდგეთ; — შენ თუ საქართველოს სიკეთე გინდა, მაშ რა გაქვს სტალინისა და სტალინური წრთობის კომუნისტების საწინააღმდეგო, ჩვენი ალტერნატივა ხომ ან კერენსკის მთავრობა, ან ჰიტლერული მიხაკისფერი ჭირი, ანდა ხრუშჩოვისეული კომპარტია იყო. მოკლედ, ამოქმედებულია სტალინური რკინისებური „ლოგიკა“: — თუ ჩვენს მხარეს არა ხარ, მაშინ ეს და ეს უბედურებები მოგელით, შენც და შენს ქვეყანასაც — წყალი და მეწყერი წაგიღებთო.

— მაინც რატომა და რისთვისაო?! — არც წითელი ჭირი გვინდა, არც თეთრი და არც მიხაკისფერიო! — ამას ნუ იტყვით, ძვირფასო მკითხველო, აუცილებლობითაა ასეო და მორჩა. აკი წერილის სათაურშიეა გამოტანილი ამ ლოგიკის თეზისი: „შეგნებული აუცილებლობის შეცნობა და არა უპასუხისმგებლობა და თვითნებობა!“ დიახ, სწორედ ასე და მხოლოდ ასე! (ისე, სტილისტურად ცოტა გაუმართავი სათაური კია: — შეგნებული შეცნობილს ნიშნავს. ჯობდა ეთქვათ: „ისტორიული აუცილებლობის შეცნობა და არა...“ მაგრამ არაფერი უჭირს, აზრი მაინც გასაგებია).

ე.ი. სტალინისტების კონცეფციით, სამეფისწერო და სავალდებულო ისტორიული აუცილებლობა საქართველოსთვის ის იყო, რომ მასზე უნდა ებატონა ან კერენსკის, ან ბოლშევიკურ-სტალინურ, ან ხრუშჩოვის რუსეთს, ანდა ჰიტლერულ გერმანიას. მომავალში კი — ელცინ-ზიუგანოვ-ჟირინოვსკი — ლებედის რუსეთს. ამ უბედურებათაგან სტალინისტებს ურჩევნიათ სტალინურ-ბოლშევიკური რუსეთი როგორც ნაკლები ბოროტება კი არა, არამედ, უკაცრავად, როგორც სრული ბედნიერება.

როგორც ვხედავთ, სტალინისტები ამოდიან ჰეგელის დებულებიდან: „თავისუფლება არის შეცნობილი (ანუ შეგნებული) აუცილებლობა“. ბებერ, რაციონალისტ ჰეგელთან ისტორიაში თავისუფლებისათვის ადგილი მართლაც არ არის. (ამატომაც უკუაგდეს და შეაჩვენეს ეს მოძღვრება ექსისტენციალისტებმა). არის მხოლოდ აბსოლუტური სულის ტოტალური ქმნადობის პროცესი. ინდივიდს კი ისღა რჩება, რომ შეიგნოს და შეეგუოს ამ აუცილებლობას, ნებით გაჰყვეს და დაემორჩილოს მას, თორემ სულ ერთია, აბსოლუტური სული მაინც ყურით წაათრევს მას თავის გზაზე! მაგრამ თუ ჰეგელთან ეს ისტორიული აუცილებლობა, ეს ქმნადობა მთელი სამყაროს გაგონიერების, გაღვთაების პროცესს წარმოადგენს, სტალინისტებთან ეს აუცილებლობა საქართველოზე წითელი რუსეთის ბატონობის მოუცილებლობას ნიშნავს!!!

მოდით და ჩვენც კბილი გავუსინჯოთ მათთვის ამ ყველაზე სანუკვარ და ყველაზე ძლევამოსილ აუცილებლობას — წითელ აუცილებლობას და, როგორც გვირჩევენ კიდეც, თავი დავანებოთ „უპასუხისმგებლობასა და თვითნებობას“.

რამ განაპირობა ამ წითელი აუცილებლობის ანუ ჩვენი სიტყვებით, წითელი ჭირის გაბატონება საქართველოში?

— რუსეთის წითელი არმიის შემოჭრამ, ამ აგრესიის ქართველმა ორგანიზატორებმა — სტალინმა და ორჯონიკიძემ და აქ, საქართველოში მათმა მეზუთე კოლონამ.

რამ განაპირობა თავად ამ წითელი იდეოლოგიის გაბატონება საქართველოში?

— დიდი ილიას მკვლელობამ და ეროვნული ნიჰილიზმის გამეფებამ. აკი ილია დაბეჯითებით ურჩევდა და ემუდარებოდა ამ წითელი ჭირის მთესველებს — თავი დაანებეთ რუსულ რევოლუციას და ჩვენს უბედურ ქვეყანას მივზედოთო...

და რაღამ განაპირობა ეს ანტიეროვნულ-ინტერნაციონალისტური სულისკვეთება ბევრზე ბევრ ბედშავ ქართველში?

— ჩვენმა ბედკრულმა ისტორიამ, სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ, ხანგრძლივმა კოლონიურმა ყოფამ.

„...თავად სტალინიცა და სტალინისტებიც (და, საერთოდ, წითლები) ჩვენი ბედკრული ისტორიის პროდუქტნი არიან. ხანგრძლივმა კოლონიურმა ყოფამ აღმოაცენა და გაფურჩქნა ეროვნული ნიჰილიზმის ბოროტი ყვავილი. ჯერ მეფის რუსეთის, შემდეგ კი ბოლშევიკების იმპერიამ ძოძუ აწოვა და გამოზარდა დენაციონალიზებულ ქართველთა მთელი ფენა...“ — ნათქვამია იმ სხვა სტალინისტების გამოხმაურებაზე ჩემს პასუხში.

სწორედ ამ ნიჰილიზმისა და დენაციონალიზმის შედეგია ის, რომ საქართველოს საუკეთესო შვილები, დიდი პოლიტიკოსები და დიდი მხედართმთავრები, დიდი მეცნიერები, ინჟინერ-კონსტრუქტორები თუ გამომგონებლები გულით და სულით ემსახურებოდნენ და ემსახურებიან დღესაც სხვა ქვეყნის მთავრობებსა და ხალხებს და თუ სამტრო და საწინააღმდეგო არა, სასარგებლო თითქმის არაფერი არ გაუკეთებიათ საკუთარი სამშობლოსათვის. „ჩვენი ქართველები“ დიდგულოვნად ბგრატიონობდნენ და ციციანოვობდნენ, სტალინობდნენ და ორჯონიკიძეობდნენ, შალიკაშვილობენ და კამკამიძეობენ დღესაც სხვათათვის...

(სხვათა შორის, შალიკაშვილთან დაკავშირებით, არ დამავიწყდეს: ბატონო კორნელი, ამ ცივ და ბნელ ზამთარ-გაზაფხულზე ჩემს ყურამდე რაღაც არ მოუღწევია ინფორმაციას ვითომდა შალიკაშვილს ქართული ინტელიგენციისათვის სტალინის ხსოვნის უკდავყოფაზე ზრუნვა დაებარებინოს?!)

— დიდება და გამარჯვება შეერთებულ შტატებს — მსოფლიო დემოკრატიის ჭეშმარიტ ბურჯს! და სიცოცხლე და გამარჯვება შალიკაშვილსაც, ამერიკის ძლიერებაში თავისი წვლილის შეტანს, მაგრამ, თუ ეს ინფორმაცია მართალია, ნუთუ ამ თანამედროვე მამელუქმა თავისი წინაპრების სამშობლოსათვის რაღაცა სასიკეთოს გაკეთების ნაცვლად ძველი იარების გახსნა მოინდომა?!).

მოდით ახლა დროებით თავი დავანებოთ სხვებს და ყველაზე დიდ „ქართველს“ — სტალინს მივუბრუნდეთ, სტალინის ფენომენი ვიკვლიოთ, ჩვენ მოკრძალებული წვლილიც შევიტანოთ საზოგადოება „სტალინთან“ არსებულ სტალინის ფენომენის კვლევის ცენტრის დიდად საპატიო, ისტორიულ და საშვილიშვილო წამოწყების ხორცშესხმაში.

მით უფრო, რომ ეს საქმე თურმე შალიკაშვილსაც დაუბარებია!

— როგორ ჩამოყალიბდა სტალინის — ამ უდაოდ დიდი პიროვნების მრწამსი, მისი მსოფლგანცდა?

პატარა სოსოს სულში ეროვნული თვითშეგნების ჩანერგვა არც ოჯახსა და არც სკოლას არ მოუხდენია. მისი თვითგანვითარება გარემომცველმა გარემომ და იმ დროს გაბატონებულმა ანტიეროვნულმა სულიერ-მსოფლმხედველობრივმა მდინარებამ განსაზღვრა. სულიერი ევოლუციის ადრეულ ეტაპზე, ალბათ ილია — აკაკის შემოქმედების გარკვეული გავლენით, ყმაწვილ სოსელოს კი აღმოხდა — „აყვავდი, ტურფა ქვეყანავ“-ო, მაგრამ სულ ეს იყო და ეს. მალე მის სულშიც იყვავილა ეროვნული ნიჰილიზმის ბოროტმა ყვავილმა, იგი მარქსისტული ჯგუფების საქმიანობაში ჩაერთო და საბოლოოდ „სტალინად“ იქცა.. („კლიჩკაც“ რუსული, სულიც ბოლშევიკურ-რუსული...).

მაგრამ ოჯახსა და სკოლას ეროვნული თვითშეგნება რომ ჩანერგა მისთვის და ეს ბუმბერაზი ჭეშმარიტი მამულიშვილი რომ გამხდარიყო?! — რაღა იქნებოდა მაშინ, რა ასპარეზს ნახავდა აქ, საქართველოში მისი დიდი ორგანიზაციული ნიჭი და უსაზღვრო პოლიტიკური პატივმოყვარეობა? იყო თუ არა იმ ეპოქაში ისტორიული პირობები საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღსადგენად, სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად?

სწორედ რომ იყო და საუკეთესო პირობებიც იყო!

ქართველობა მაშინ, იმ პირველი მსოფლიო ომის დასასრულს რიცხოვნობით აღემატებოდა აზერბაიჯანელებსაც და სომხებსაც, ხოლო საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით მთელი კავკასიის შემკერელ ძალას წარმოადგენდა. და ჰაი, ჰაი, რომ სტალინს ხელეწიფებოდა, თუკი ამას მოინდომებდა, ქართველი ერისა და მთელი კავკასიის ხალხებს ერთ მუშტად შეკვრა რუსეთის იმპერიის მოსაღოდნელი აგრესიის პირისპირ! საერთაშორისო ვითარებაც სწორედ რომ ხელსაყრელ ამინდს ჰქმნიდა — გერმანიაც და ინგლის-საფრანგეთიც, მიუხედავად ერთმანეთთან დაპირისპირებისა, სასურველად მიიჩნევდნენ რუსეთისაგან კავკასიის ჩამოცილებას და ყოველმხრივ მხარს უჭერდნენ ამ პროცესს.

და მაშინ კავკასიის ქედზე რუსეთი, წითელი იქნებოდა იგი თუ თეთრი, სამდვილად წაიმტვრევდა იმპერიულ კბილებს! და ყოველი სხვა აგრესორიც!

— პატარა, ურესურსებო ფინეთმა, რუსეთის ყოფილმა კოლონიამ, წარმატებით დაიცვა თავი მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში რუსეთის აგრესიისაგან და რატომ უნდა გასჭირვებოდა თავდაცვა საქართველოს, მით უფრო, მთელი ამერიკა-კავკასიის ფედერაციას?!

მაგრამ ეს ხომ ასე არ მოხდა, „ისტორიული აუცილებლობით“ სტალინი ხომ წითელ გზას დაადგა და წარსულის ეგ რეტროსპექტიული ანალიზი უპასუხისმგებლობა და თვითნებობაა — შემომძახებენ ოპონენტები.

— ვგლახ, რომ არ მოხდა!.. მაგრამ ისტორიულმა აუცილებლობამ კი არა, წარმომავლობა-ნაშიერობამ და ნიჰილისტურმა გარემომ დააყენეს სტალინი ანტიეროვნულ, წითელ გზაზე, თორემ, ვთქვათ, რაღა მაინცდამაინც სადღაც მიკარგულ ფხოვის მთებში დაბადებული კაცი ძეიძლება გახდეს გულანთებული მამელუშვილი და არა, შუა ქალაქში გაზრდილი?!ასეა თუ ... [illegible] — გაწითლა საქართველო.

მოდით ახლა ... [illegible] გავანალიზოთ ამ გაწითლების შედეგები, მოკლედ ჩამოვთვალოთ ამ მიზეზით გამოწვეული დანაგარები.

1. ტერიტორიების დაკარგვა წითელი არმიის შემოსვლისთანავე...

2. ერთიანი საქართველოს ავტონომიებად დაგლეჯა, რათა რუსეთს მუდამ ამ ავტონომიების სადავეებით ემართა ჩვენი ქვეყანა...

3. შობადობის დონის მკვეთრი დაცემა, დემოგრაფიული დეეორმაცია და დემოგრაფიული ექსპანსია.

კოლექტივიზაციამ, სოფლის მეურნეობის იმპერიის თარგზე მოწყობამ (კახეთის ენაზეად, ქართლის ხილის ბაღებად, დასავლეთ საქართველოს ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებად გადაქცევამ), სოფლის მოსახლეობის მასობრივმა მიგრაციამ ქალაქად, მთის დაცლამ გამოიწვია ეს შობადობის დონის მკვეთრად დაცემა და ამერკავკასიაში ქართველობის რიცხოვნობით პირველიდან მესამე ადგილზე ჩამოქვეითება. ყოველივე ამას თან სდევდა მუდმივი დემოგრაფიული ექსპანსია — უცხოტომელთა შეუზღუდველი ჩამოსახლება საქართველოში.

(ამ თემასთან დაკავშირებით: ოციანი წლების დასაწყისში შიმშილობის, ეპიდემიების, არეულ-დარეულობათა და სხვა სტიქიურ მიზეზთა შედეგად საქართველოსა და მთელ ამერკავკასიას მოაწყდა ლტოლვილთა აურაცხელი ბანდები. თავისი საზღვრები ჩაკეტა აზერბაიჯანმა, — მეტ ლტოლვილს ველარ მივიღებთო, ჩაკეტა საქართველოსთან საზღვარი სომხეთმაც; საქართველოს ცეკას იმდროინდელმა მდივანმა, საწყალმა მდივანმა ბუდუ, რომელსაც კაციშვილი მამულისშვილობას ვერ შესწამებდა, წმინდა სოციალურ-ეკონომიკური და სამედიცინო მოსაზრებებით დაყენა საკითხი რუსეთთან საქართველოს საზღვრის დაკეტვისა. მხოლოდ დაყენა და ეს იყო. ორჯონიკიძემ ხელიც კი შემოარტყა — როგორ გაბედე ამგვარი საკითხის დასმა, პროლეტარები სწორედ საქართველოში უნდა შეერთდნენო! და მდივანს „ნაციონალ-უკლონიზმში“ დასდეს ბრალი!!!

და ეს იყო მართლაც გაკვეთილი! ამის შემდეგ ქართველ კომუნისტ-ფუნქციონერებს საერთოდ აღარ გამოუჟღავნებიათ სამშობლოზე ზრუნვის რაიმე ხალისი და საბოლოოდ მართლაც ცოფიან ანტიქართველებად ჩამოყალიბდნენ...).

4. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, სამხედრო მრეწველობის, სამეცნიერო დაწესებულებების რუსეთის თარგზე ისე მოწყობა, რათა რუსეთისაგან იზოლირების შემთხვევაში ქვეყანა წელში ვერ გამართულიყო...

5. საყოველთაო გაბრწნა და გადაგვარება: კარიერიზმი და ბელადმანია-ლიდერომანია, 370 პარტია, კაგებეს აგენტურის თავაშვებული პარპაში, სამოქალაქო და უილაჯო ანტისეპარატისტული ომები, მეზუთე კოლონების გაბრწნელი მოქმედება. მოკლედ, წითელი ჭირის შედეგების მთელი მასშტაბით ამოქმედება...

საქართველოს დღევანდელ დიდად სავალალო სამხედრო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სულიერ-მოღვაწულ კრიზისსა და კატასტროფაზე თქვენც წერთ და ლაპარაკობთ და კარგა ხატოვნად და ნიშნისმოგებითაც წერთ, პატივცემულო სტალინისტებო, მაგრამ „გავიწყდებათ“ კი ამ კრიზისის გამოწვევი ჭეშმარიტი მიზეზი. რასაც თქვენ აღწერთ და რაზეც თქვენ მიუთითებთ, როგორც მიზეზზე, ყველაფერი ეს მხოლოდ შედეგია, ყველა ამ შედეგების საბოლოო მიზეზი კი სწორედ ბოლშევიკურ-კომუნისტური იდეოლოგია და პრაქტიკაა, თქვენი ნაქადაგები ინტერნაციონალიზმია (ე.ი. საკუთარი სამშობლოს სიძულვილი), ათეიზმი და უღმერთობაა. თუ კაცი ღვთის შვილი არ არის, მაშინ იგი მაიმუნის შვილია — როგორც თქვენ ასწავლიდით კიდეც და მაშინ ადამიანი მხოლოდ ბიოლოგიური ორგანიზმია, ცხოველთა ერთ-ერთი სახეობაა და მეტი არაფერი. მაშინ მისთვის ყველაფერი ნებადართულია, ყველაფერი დასაშვებია თავისი, ვითარცა ბიოლოგიური ორგანიზმის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად: კაცის კვლაც, ქურდობაც, მრუშობა-პროსტიტუციაც, ნარკომანიაც, მექრთამეობაც, ბელადმანიაც, კარიერიზმიც, კოლაბორაციონიზმიც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაც, სამშობლოს ღალატიც (—პროლეტარს ხომ სამშობლო არა აქვს!) და საერთოდ ყველაფერი. ყველაფერი ნებადარ-

გაგრძელება მე-8 გვ.

# წითელი აუცილებლობა თუ წითლების მოუცილებლობა?!

მეშვიდე გვერდიდან

თულია!..

კომუნისტური მმართველობის ხანაში თავაშვებული მზეც-კაცის მოსათოკად რელიგიისა და ღმერთის ალტერნატივა განუკითხავი, ზშირად მასობრივი პროფილაქტიკული დახვრეტები, კატორღა, საკონცენტრაციო ბანაკები, ციხეები, მრავალრიცხოვანი არმია, მილიცია, კგბე და ა.შ. იყო. (მარტო ბელადების კულტი შემაკვებელ ფაქტორად არ კმაროდა!). დღეს ამ ყველაფერს დიდი ხარჯი სჭირდება, რაც არ არსებობს, და თანაც დასავლეთის ქვეყნები, რომელთა კმაყოფაზეცაა მთელი ყოფილი სსრკ და მათ შორის საქართველოც, ამ თავაშვებულ მზეც-კაცს, ზოგჯერ მართლა მაიმუნს და მაიმუნისშვილს, მაინც ადამიანად, ადამის შთამომავლად მიიჩნევენ და ადამიანის უფლებების დაცვას გვავალდებულებენ. გვეუბნებიან: — ხალხი არა ხართ, ნუ უვარდებით თქვენი ნებით ურჩხულს პირში, ისე მოაწყეთ თქვენი ცხოვრება, როგორც ჩვენ მოვაწყეთ ამ 150—200 წლის წინო, ასე მოიქეცით, რათა თქვენც ბელადების, სისხლისღვრისა და ციხეების გარეშე იცხოვროთ და ღირსეულადაც იცხოვროთ სრული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის გარანტიითო. და თქვენ — „დიდი ბელადის“ თაყვანისმცემელნო — გინდათ რომ ისევ სტალინური მმართველობის კოშმარულ ხანაში დაგვაბრუნოთ?!

კიდევ ვიტყვი: წითელი აუცილებლობა (ისევე როგორც ხანშოკელ გერმანული მიხაკისფერი ჭირი) არავითარი ისტორიული კანონზომიერება არ ყოფილა. როგორც თეორია, კომუნისტური იდეოლოგია შემოქმედებაში ხელმოცარულ უტოპისტთა გონების პროდუქტია, პრაქტიკულად კი რუსეთში იგი გამოიყენა ავანტურისტთა გარკვეულმა ჯგუფმა თავიანთი უსაზღვრო პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად. საბოლოოდ კი ეს თეორიაც და პრაქტიკაც შტაიცე ფუნდამენტად და ლიბიდ დიდი მოდერნიზაციის ძნელ გზაზე მდგარ რუსეთის იმპერიას დაპყრობილ-დამონებული ხალხების კომუნისტურ-ინტერნაციონისტური ბანგით დასათრობად და ხელახლა დასამონებლად.

ახლა ეს ლიბი მორღვეულია, იმპერია ნიღაბახდილია და ხელახალი მოდერნიზაციის ეტაპზე მდგარ ამ ურჩხულს არანაირი იდეოლოგიური საფარველი — ნიღაბი აღარ გააჩნია. და თქვენ — ნაირგვარო სტალინისტებო, ნაირფერი კომპარტიებისა და სოცპარტიების მესვეურნო — თქვენ მოგიწადინებიათ, რომ რადაც არ უნდა დაჯდე რუსეთის ძირძომპალ იმპერიას ის დგლეჯილი ნიღაბი ხელახლა მოარგოთ?! რომ იმპერიას საქართველოში კვლავაც მეხუთე კოლონები უმზადოთ?!

საქართველოს სამწუხარო ბედისწერად წითელი აუცილებლობა კი არა წითლების მოუცილებლობა, წითელი ჭირი იყო და რჩება დღესაც...

P.S. ბატონო კორნელი! განა ქაღალდი მართლა ყველაფერს იტანს?! დემაგოგიასა და ცინიზმსაც ხომ აქვს საზღვარი! — ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობა ი.სტალინმა აღუდგინა საქართველოსო რომ წერთ, ეს ხომ იმას ნიშნავს, ქურდმა განძი მოიპაროს, მერე ყალბი მონეტებით „დაუბრუნოს“ პატრონს და ხოტბა შეავსხათ ქურდს „ნამუსიანობისათვის“!!!

განა ვინ აკრძალა ილიას მემკვიდრეობა? — კომუნისტებმა და სხვამ არავინ! და მაშინ, როცა სტალინს ბარბაროსი უწოდეს ბარბაროსთა ქვეყნიდან, მას დასჭირდა რუსთაველის, ილიასა და სხვა სახელების ამოწევა თავისი წარმომავლობის საჩვენებლად...

და როგორი ილია აღადგინეს? — გაქურდული, გაყალბებული, საკუთარ მრწამსს დაპირისპირებული... „აღადგინეს“ ილია, როგორც... მატერიალისტი, ათეისტი, როგორც... მარქსიზმის (დიალექტიკური მატერიალიზმის!!!) წინამორბედი... ის კი არა, მისი ბაზალეთის ტბის ძირას მდგარ ოქროს აკვანში, რომელშიც ილიას წარმოსაზვით საქართველოს მომავალი მზსნელი ყმა წევს, საქართველოს ჯალათი სტალინი ჩაწვინეს!!!

ესაა „ილიას აღდგენა“?!

**ავთანდილ პოპიაშვილი**

# დრო წავიდნენ დაუყოვნებლივ და უპირობოდ

## საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ გაერთიანებათა საორგანიზაციო კომიტეტის განცხადება

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ გაერთიანებათა საორგანიზაციო კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს ფართოდ წარმომადგენლობითი კონფერენციის მოწვევა თემაზე „საქართველოში რუსეთის შეიარაღებულ ძალთა დროებითი დგომის დასაშვებობა-დაუშვებლობის პრობლემა“.

კონფერენციის მაქსიმალური წარმომადგენლობითობისა და ურთიერთგანსხვავებულ პოზიციათა გათვალისწინებისთვის ოპტიმალური პირობების შექმნის მიზნით კომიტეტი სთავაზობს საქართველოს პარლამენტს კერძოდ — მის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს და მის საგარეო საქმეთა კომიტეტს ზემოხსენებული კონფერენციის ორგანიზებას ერთობლივი წესით.

კომიტეტის აზრით, საქართველოს საარსებო ინტერესია საქართველოდან რუსეთის შეიარაღებული ძალები სრულად იქნას გაყვანილი დაუყოვნებლივ და უპირობოდ, შესაძლებელ ვადაში, აგრეთვე მათი გაყვანის დამთავრებამდე მათი მოქმედება, მათი გადაადგილების ჩათვლით, შემოიფარგლოს მხოლოდ იმ მოქმედებებით, რაც შედის მათი გასვლის ორგანიზაციის პროცედურაში.

კომიტეტის სურვილია, მომავალ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღონ ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა და პოლიტიკით დაინტერესებულმა სხვა ორგანიზაციებმა განურჩევლად მიმართულებისა, აგრეთვე ყველა მსურველებმა მათ მიერ წინასწარ ან დისკუსიის მსვლელობისას თეზისების წარმოდგენისა და გამოსვლის დროს რეგლამენტის დაცვის პირობით. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი იქნებიან საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა, სამეცნიერო დაწესებულებები და უნივერსიტეტები, დიპლომატიური კორპუსი, ამერიკაკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლობა, საზოგადოებრიობა, პრესა. გარეშე პირთათვის მონაწილეობა (ზემოხსენებულ პირობათა დაცვით) თავისუფალია.

კომიტეტს განზრახული აქვს დაუყოვნებლივ შეუდგეს კონსულტაციას იმ პოლიტიკურ პარტიებთან, რომელნიც იზიარებენ მის ზემომოყვანილ თეზისს, და სთავაზობს პარლამენტის ზემოხსენებულ ორ კომიტეტს ერთობლივად, არგუმენტთა თავმოყრის მიზნით ანალოგიური პროცედურა განახორციელოს ამ თეზისის არგამზიარებელ პარტიათა და ინდივიდთა შორის.

**17.VI. 1996წ.**

# ინტერესანტი

**1996 წლის 4 ივნისს** შედგა გორის სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტის სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და თანამრომელთა საერთო კრება, რომელიც ერთსულოვნად შეეუერთა თავისი ხმა ქართული საზოგადოებრიობის პროტესტს ჩვენს ქვეყანაში თურქული (შავი ზღვის აუზის ქვეყნების) უნივერსიტეტის დაარსების გამო. „ამგვარი უნივერსიტეტის დაარსება მიგვაჩნია ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად“ — ნათქვამია დადგენილებაში, რომელსაც ხელს აწერს ინსტიტუტის ორმოცი თანამშრომელი. მათ შორის რექტორი, პროორექტორი, კათედრის გამგეები და სხვა.

# ადიჯესტი

## დემონური ბოროტმოქმედება

**ქალმა** მოჰკლა ფეხმძიმე მეგობარი, მუცელი გაუფატრა და გაიტაცა ჩვილი. ერთ დღეს ფელიცია სკოტმა თავისი ახლო მეგობარი ქალი რესტორანში მიიწვია, საღამოს კი ეს საშინელი სცენა გათამაშდა. ერთი კვირის თავზე ფელიცია მამასთან ჩავიდა ახალშობილთან ერთად, თუმცა ახლობლებმა კარგად იცოდნენ, რომ ოპერაციის შემდეგ ფელიციას არ შეიძლებოდა ჰყოლოდა შვილი. ფელიციას მეგობრის გვამი სანაგვეში აღმოაჩინეს. მკვლელი სულ მალე სასამართლოს წინაშე წარსდგება. ეს სულაც არ გახლავთ არაჩვეულებრივი და გამონაკლისი ფაქტი. ჩიკაგოში, საღამო ხანს, სახლში დაბრუნებულმა ქმარმა იპოვა მუცელგაფატრული მეუღლის გვამი. ნაყოფი, თითქმის ცხრა თვის ჩვილი, გაუჩინარდა. პოლიციამ დააპატიმრა ეჭვმიტანილნი: ერთი მამაკაცი და ორი ქალი.

## კლინტონს ჰომოსექტუალისტების იმედი აქვს...

### ჰომოსექსუალისტები

კანონიერ უფლებებს იხვეჭენ. ისინი, ისევე როგორც სხვები, ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქენი არიან და უნდა კიდეც სარგებლობდნენ ყველა უფლებებით. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო 20 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ. ეს ჰომოსექსუალისტებს და „ლესბიელების“ უდავო წარმატებაა. ბილ კლინტონმა კმაყოფილება გამოთქვა სასამართლოს განაჩენის გამოქვეყნებისთანავე. ჯერ კიდევ 1994 წელს სენატორმა ედუარდ კენედიმ ითხოვა სენატში ჰომოსექსუალისტებისთვის სამოქალაქო უფლებების მინიჭება. ტრადიციის მიხედვით, ჰომოსექსუალისტები მუდამ დემოკრატებს უჭერენ მხარს. ბილ კლინტონს მომავალ არჩევნებში ამ „სოციალური უმცირესობის“ იმედიც აქვს. ამერიკას საფრანგეთმაც აუწყო ფეხი. სულ ცოტა ხნის წინ ჟურნალმა „ნუველ ობსერვატორმა“ დაბეჭდა ღია წერილი, რომელშიც 240 ცნობილი ფრანგი მოღვაწე (პოლიტიკოსები, იურისტები, მწერლები) სთხოვენ საკუთარ მთავრობას სამოქალაქო უფლებებში აღადგინონ თანამემამულე ჰომოსექსუალისტები და „ლესბოსელები“ და მისცენ მათ წყვილ-წყვილად ცხოვრების საშუალება. სხვათაშორის, 1994 წელს, ევროპის პარლამენტმა მოსთხოვა „ევროპული კავშირის“ ყველა წევრ ქვეყანას უარი ეთქვა ჰომოსექსუალისტთა ყოველგვარ დისკრიმინაციაზე, დაებრუნებინა მათთვის ერთ დროს ჩამორთმეული უფლებები.

ზოგი ჭირი მარგებელია, ჩვენ რომ ევროკავშირის ქვეყანა არ ვართ, ჯერჯერობით ასეთი დიქტატი საქართველოს პარლამენტს არ ელოდება...

# გახსენება

## სოსო ლემონჯარია

**მწუხარებისა** და ცრემლთაფრქვევის ორი უმძიმესი წელი დაილია, სოსო, ჩემო უსაყვარლესო ძმაო, ჩემო დაიდო სიხარულო და მოუნელებელო ტკივილო.

იმოდენა სიყვარული დაგვიტოვე და ცრემლი გაიყოლე, ადამიანის ერთ ხანგრძლივ სიცოცხლეს რომ დაამშვენებდა.

გაუსაძლისია შენზე წარსულ დროში ლაპარაკი. შენ ხომ სიცოცხლე და ბედნიერება იყავი ჩვენთვის.

შენ საქართველოს ნაადრევად გამოაკლდი! მშობლებს გამოაკლდი, ცოლსა და შვილებს, ახლობლებსა და საძმოს, მეგობრებს... ნაადრევად დაამბლე ორი პაწია: დიმა და სალომე.

უღალატო იყავი, შენი სჯეროდათ და პატივს გცემდნენ. ვინ იცის, იქნებ შენი კეთილი სულის ნათელი ჩვენზე — ადამიანებზე უფრო დასჭირდა ღმერთს ზეციურ საუფლოში.

ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი სულისათვის.

შენდამი სიყვარული მარადიულია, სოსო!

**ინგა ლემონჯარია**



**თარაზულად:** 2. პოპულარული შვედური საესტრადო ანსამბლი; 5. მათემატიკის ნაწილი; 7. მ.ჯავახიშვილის ნაწარმოების პერსონაჟი; 9. ორგანო, რომელიც შეიმუშავებს ორგანიზმისთვის საჭირო ნივთიერებებს; 11. ადრეული ვაზის ჯიში; 12. საკვების, საზრდოს გარკვეული ნაწილი; 13. არგენტინელი ჩოგბურთელი ქალი; 15. ზეპირი ან ბეჭდვითი მოღვაწეობა მასების შეგნება-განწყობილებაზე ზეგავლენის მოსახდენად; 17. მამაკაცის სახელი, სამეგრელოში გავრცელებული; 18. ჩლიქზე დასაკრავი ფირფიტა; 20. ქრისტეს მოწაფე; 21. ქართველი მწერალი; 25. ამოღრმავებული ადგილი მიწაში; 26. ვისიმე მოსაზრების, დასაბუთების წინააღმდეგ კამათში გამოსული; 29. სოფელი მარნეულის რაიონში; 32. საფოსტო ნიშანი; 34. სტალინის ეკრანული სახის ერთ-ერთი შემქმნელი; 35. მსახიობი ქალი, ვინც „ემანუელათი“ დაიპყრო მილიონობით კინომოყვარულთა გული; 36. გაცრისას საცერში რჩება... 37. მუზეუმში გამოფენილი საგანი; 38. სამკურნალო მცენარე.

**შვეულად:** 1. მდინარე სამხჩაბლოსა და რაჭაში; 3. განსაკუთრებული წესით ამოყვანილი ცხვრის ყველი; 4. თხელი ქსოვილი, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფს ღრუებს, კუნთების ქსოვილებს; 5. ჯარის საუკეთესო ნაწილი; 6. ცუდი ამინდია, წვიმს, ესე იგი... 7. მოდგმა, შთამომავლობა; 8. ფრინველი შავი ფრთა-ბუმბულით; 10. ვლადიმერ ანდროპოვის ვაჟის სახელი (ორ წელიწადს ბრეჟნევის მაგივრობას გვიწევდა); 11. ცნობილი ფეხბურთელის, ავთანდილ ღოღობერიძის მეტსახელი; 14. უსინათლოსადმი „ზრდილობიანი“ მიმართვა (ოდნავ იტალიურად); 16. თავხედურად გულახდილი; 17. მოწნული სასიმინდე; 19. კოლოფი, რომელსაც მუდამ ჯიბით ატარებენ იაპონელები; 22. მინიატურების თეატრის დამაარსებელი საქართველოში; 23. უცხოეთიდან საკონლის შ ემომტანი; 24. დახურული მსუბუქი ავტომობილი; 27. ბუდისტური საკულტო და მემორიალური ნაგებობა; 28. გამოტოვებული სიტყვა აკაკის ლექსის ფრაგმენტში: „დადუმებულა მთაწმინდა,... დუდუნსა მტკვრისასა, მდინარე ნანას უმღერის რაინდსა, ურჩსა მტრისასა“; 29. ოლქი საბერძნეთში; 39. განმარტება, დამატებითი ტექსტი გვერდის ბოლოში; 31. ნიკოლოზ ბარათაშვილის მეტსახელი; 33. მოქმედი ვულკანი იტალიაში, კუნძულ სიცილიაზე.


მთავარი რედაქტორი

ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-18-41